2010 წელი, 16-22 სექტემბერი

ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№26 (500) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

წელს პირველად, საქართველოში, ყველა სოციალურად დაუცველმა 55000-მდე მოსწავლემ, პირველი კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, სასკოლო სახელმძღვანელოები სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ მიიღო. ამ პროგრამის განხორციელებისთვის სახელმწიფომ 8 მილიონი ლარი გამოყო. სახელმძღვანელოების დარიგება 1 სექტემბრიდან დაიწყო და 14 სექტემბერს დასრულდა. მომავალში სახელმძღვანელოები სკოლის ბიბლიოთეკებს დარჩება და შემდგომში მათ გამოყენებას სხვა სოციალურად დაუცველი ბავშვები შეძლებენ.

სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი არაერთი სიახლით შეხვდა სასწავლო წელს – ცვლილებაა ეროვნული სასწავლო გეგმის როგორც ზოგადსაგანმანათლებლო ნაწილში, ასევე საგნობრივ კომპონენტებშიც. შეიცვალა, ასევე, სახელმძღვანელოებისთვის გრიფის მინიჭების კონკურსის პირობები. ახალი სასწავლო წლისთვის მოსამზადებელ სიახლეთა პარალელურად, ცენტრი ინტენსიურად მუშაობდა მომავალ სასწავლო გეგმაზე, რომელიც 2011 წლიდან 5-წლიანი ვადით დაინერგება. ამ და სხვა სიახლეებზე გვესაუბრება სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი ნათია ჯოხაძე.

გვერდი 5

ახალი სასწავლო წელი, ისე როგორც საქართველოს დანარჩენ სკოლებში, ჩოხატაურის რაიონის სკოლებშიც სიახლეებით იწყება.

გვერდი 10

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქართველ მოსწავლეთა ნაკრებმა ინფორმატიკის მსოფლიო ოლიმპიადაზე პირველი ოქროს მედალი მოიპოვა.

გვერდი 11

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი

განსახილველად წარმოგიდგენთ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების პროექტს. გთხოვთ, თქვენთვის ხელსაყრელ უმოკლეს ვადაში წარმოგვიდგინოთ შენიშვნები და წინადადებები ელექტრონულ მისამართზე: I. საჯარო განხილვის თარიღი გეცნობებათ დამატებით.

მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისათვის!

გვერდი 5-7

შპს „განათლების მართვის და კვლევის ცენტრი” გთავაზობთ

სასკოლო დოკუმენტაციას



	დოკუმენტაციის დასახელება	ფასი
1	ადმინისტრატორის დღიური	3,00
2	მასწავლებლის დღიური	3,00
3	მოსწავლის დღიური	1,00
4	მოსწავლის პირადი საქმე	2,00
5	თანამშრომლის პირადი საქმე	1,50
6	დანართი თანამშრომლის პირად საქმისათვის	1,00
7	შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი	6,50
8	გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი	6,50
9	ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი	5,00
10	პედაგოგთა საბჭოს სხდომის ოქმების წიგნი	4,50
11	ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი	10,00
12	ბიბლიოთეკის ფონდის აღრიცხვის ჟურნალი	7,00
13	სამეურნეო/სამშ./საკანც./სასურსათო აღრიცხ. ჟურნალი	6,00
14	გახანგრძლივებულის ჟურნალი	2.50
15	თანამშრომელთა გამოცხადების ჟურნალი (ტაბელი)	4,00
16	საგნის პედაგოგის დღიური	1,00
17	პედაგოგთა გამოცხადება-შეცვლის ჟურნალი	3,50
18	საბაზო / სრული ატესტატების ჟურნალი	3,50
19	ანბანური წიგნი	6,50
20	დისციპლინ. გადაცდ. აღრ. ჟურნალი	3,50
21	საინვენტარო აღწერილობის წიგნი	2,00
22	საგნობრივი კათედრის ჟურნალი	2,00
23	საგნების ექსტერნატით ჩაბარების აღრ. ჟურნალი	2,00
24	კლასის დამრიგებლის სამუშაო ჟურნალი	6,50
25	ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნების წიგნი	12,00
26	საბავშვო ბაღის ჟურნალი	3,00
27	ბავშვის პირადი საქმე (საბავშვო ბაღისათვის)	1,50
28	ჟურნალის გადასაკრავი	1,00
29	გაკვეთილების დიდი ცხრილი	2,00
30	მასწავლებელთა საათობრივი ბადე	1,00
31	საკლასო ოთახების განაწილების ცხრილი	0,50
32	საორგანიზაციო კუთხე	3,00
33	„შინაური და გარეული ცხოველები“ პლაკატი	4,50
34	„შინაური და გარეული ფრინველები“ პლაკატი	4,50
35	„ხილი და ბოსტნეული“ პლაკატი	4,50
36	„გამრავლების ტაბულა და პითაგორას ცხრილი პლაკატ.	2,00
37	„ანბანი და ანბანის ჯგუფები“ პლაკატი	2,00
38	„მუსიკალური ინსტრუმენტები“ პლაკატი	3,00
39	„შრომის იარაღები“ პლაკატი	3,00
40	„გეომეტრიული ფიგურები“ პლაკატები	3,00
41	„წელიწადის დროები“ პლაკატი	3,00
42	„დრო, სიჩქარე, მანძილი“ პლაკატი	3,00
43	„წელიწადის 4 დროის აღწერა“ პლაკატ. კომპლექტი	10,00
44	ცარცი (1 ყუთი- 100 ცალი)	8,00
45	საორგანიზაციო კალენდარი	10,00
46	შეტყობინების ბლანკი (ბლოკნოტის სახით)	2,00



გამრავლების ცხრილი

2x1=2	3x1=3	4x1=4
2x2=4	3x2=6	4x2=8
2x3=6	3x3=9	4x3=12
2x4=8	3x4=12	4x4=16
2x5=10	3x5=15	4x5=20
2x6=12	3x6=18	4x6=24
2x7=14	3x7=21	4x7=28
2x8=16	3x8=24	4x8=32
2x9=18	3x9=27	4x9=36
5x1=5	6x1=6	7x1=7
5x2=10	6x2=12	7x2=14
5x3=15	6x3=18	7x3=21
5x4=20	6x4=24	7x4=28
5x5=25	6x5=30	7x5=35
5x6=30	6x6=36	7x6=42
5x7=35	6x7=42	7x7=49
5x8=40	6x8=48	7x8=56
5x9=45	6x9=54	7x9=63
8x1=8	9x1=9	10x1=10
8x2=16	9x2=18	10x2=20
8x3=24	9x3=27	10x3=30
8x4=32	9x4=36	10x4=40
8x5=40	9x5=45	10x5=50
8x6=48	9x6=54	10x6=60
8x7=56	9x7=63	10x7=70
8x8=64	9x8=72	10x8=80
8x9=72	9x9=81	10x9=90





საბანკო რეკვიზიტები

შ.პ.ს. “განათლების მართვის და კვლევის ცენტრი” საიდენ. კოდი: 404869950
ბანკი: ს.ს.”თიბისი ბანკის” ჭავჭავაძის გამზ. სც №1; საბანკო კოდი (მფო)- 220101819
ანგარიშსწორების ანგარიში- **GE44TB7688336080100001**

შ.პ.ს. “განათლების მართვის და კვლევის ცენტრი”
ოფისის ტელეფონი: 253-253; 890 453 453;
დირექტორი ელენე ყაველაშვილი: 895 445 455; 897 233 991;
877 244 969 კორპორაციული

მისამართი:
კავსაძის №4 (ვაკეში, მე-9 საავადმყოფოს მოპირდაპირე ქუჩა)
I სადარბაზო (ლურჯად შეღებილი, საცხობის გვერდით)
I სართული, ბ№1



გამომცემლობა „დიოგენე“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

შეგახსენებთ

გამომცემლობა „დიოგენესგან“ პედაგოგები ტრადიციულად საჩუქრად მიიღებენ სახელმძღვანელოთა კომპლექტს (გაცემის ვადები 06.09-16.10). ამისათვის დირექტორმა უნდა გასცეს ცნობა, სადაც მითითებული იქნება:

1. პედაგოგის სახელი, გვარი;
2. საგანი და კლასი, რომელსაც ასწავლის პედაგოგი;
3. დადასტურება იმისა, რომ სარგებლობს „დიოგენეს“ სახელმძღვანელოთი;
4. ცნობა გაცემულია „დიოგენეში“ წარსადგენად.

თვალსაჩინოებისთვის მოგვყავს ცნობის ნიმუში

ცნობა

ეძლევა ირინა ზედელაშვილს მასზედ, რომ იგი ნამდვილად მუშაობს ქ. თბილისის 156-ე საჯარო სკოლაში მასწავლებლად, ასწავლის ბიოლოგიას VI კლასში და არჩეული აქვს გამომცემლობა „დიოგენეს“ სახელმძღვანელო „მე და სამყარო“, ლ. ბურდილაძის და ლ. თევზაძის ავტორობით.

ცნობა ეძლევა გამომცემლობა „დიოგენეში“ წარსადგენად.

სკოლის დირექტორი: / /

ასევე გატყობინებთ, რომ წიგნის არჩევანის შეცვლის შემთხვევაში, საჭიროა მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ცნობა

ნიმუში:

ვადასტურებთ, რომ განათლების სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ..... საჯარო სკოლის ..... კლასი სარგებლობს გამომცემლობა ..... მათემატიკის სახელმძღვანელოთი (ავტორები .....), ზუსტი არ არის, სკოლა რეალურად სარგებლობს გამომცემლობა „დიოგენეს“ მათემატიკის სახელმძღვანელოთი (ავტორები: ნ. გვილავა, ე. ჩილოჩავა...).

წელს გამომცემლობა „დიოგენემ“, გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, მოსწავლეებს შესთავაზა ატესტატის მისაღებად განკუთვნილი სააბიტურო პროგრამის მიხედვით მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელო ბიოლოგიაში და ტესტების ორი კრებული ქიმიაში (XI და XII კლასებისათვის)

რამ განაპირობა დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნა და რატომ ვურჩევთ უფროსკლასელებს ამ წიგნების შექმნას, ამის შესახებ თავად ავტორები გვესაუბრებიან

ლია თევზაძე: ქიმია, XI კლასი

ქიმიაში საატესტატო პროგრამა ძირითადად XI- XII კლასის პროგრამას მოიცავს. XI კლასის ქიმიის ახალი პროგრამით დაწერილი

სახელმძღვანელოს შინაარსი ატესტატის მისაღებად განკუთვნილ სააბიტურო პროგრამას მიჰყვება, შესაბამისად, მომზადდა საატესტატო ტესტები, რომლითაც მასწავლებელი გაკვეთილზე, სახელმძღვანელოს გამოყენების პარალელურად, იმუშავებს და მოსწავლეებს საატესტატო მინიმუმისთვის მოამზადებს. სახელმძღვანელოს პროგრამულად მიჰყვება ტესტების კრებული, სახელმძღვანელოს შინაარსი კი, როგორც უკვე გითხარით, საატესტატო პროგრამის შესაბამისია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრულია, რა აუცილებელ მინიმუმს უნდა აკმაყოფილებდეს მოსწავლე ქიმიაში, რომ ატესტატი მიიღოს. მოთხოვნები ასეთია: ცოდნა-გაგება და გამოყენება, ასევე ინფორმაციის შეგროვება, დახარისხება და მიზნობრივად გამოყენება, პრობლემის კვლევა. ტესტების კრებული სწორედ ამ პრინციპის მიხედვითაა შედგენილი. აქ ყურადღება არა მარტო სასწავლო მასალის ცოდნაზეა გამახვილებული, არამედ მის გაგებასა და პრაქტიკულ გამოყენებაზეც. საბიტურო პროგრამისთვის მასწავლებლებს, ფაქტობრივად, გაკეთილზევე შეეძლებათ მოსწავლეების მომზადება.

კრებულში ტესტების რამდენიმე ვარიანტია, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, ერთი ვარიანტი მოსწავლეს გაკვეთილზე მისცეს შესასრულებლად, სხვა ვარიანტი კი – სახლში სამუშაოდ.

ტესტებში მოცემულია სხვადასხვა სახის დავალებები: დახურული კითხვები, სადაც მოსწავლეებმა სწორი პასუხები უნდა შემოხაზონ, ასევე ღია კითხვები, რომლითაც მოსწავლეებს მოეთხოვებათ ექსპერიმენტის დაგეგმვა, კვლევის ეტაპების ჩამოწერა, განსაზღვრა, რომელი ეტაპია გამოტოვებული, რომელი საკითხი უნდა მიიჩნიონ მნიშვნელოვნად პრობლემის გადასაწყვეტად. ვფიქრობთ, ამ ტიპის დავალებებზე ვარჯიშით ისინი კარგად მოემზადებიან საგამოცდოდ.

ნუნუ ჯავახიშვილი: ქიმია, XII კლასი

მეთორმეტე კლასის მოსწავლეებს ვთავაზობთ ტესტების კრებულს, რომელიც გამიზნულია სააბიტურო პროგრამის შინაარსით გათვალისწინებული საკითხების გამეორებისა და საატესტატო გამოცდებისათვის მომზადებისათვის. კრებულის შედგენა განაპირობა იმან, რომ ჩვენს ახალ სახელმძღვანელოში, რომელიც, XI კლასის სახელმძღვანელოს ანალოგიურად, ატესტატის მისაღებად განკუთვნილ სააბიტურო პროგრამას მიჰყვება, არ არის შესული მასალის შესაბამისად შედგენილი ტესტური დავალებები, ამდენად, ეს კრებული მოსწავლეებს ტესტურ დავალებებზე სავარჯიშოდ გამოადგებათ.

კრებულში შეტანილი დავალებები მოსწავლეებს საკუთარ მოსაზრებებს გამოუმუშავებს, სინთეზისა და ანალიზის, მოვლენის შეფასებისა და კრიტიკული აზროვნების უნარს ჩამოუყალიბებს. დავალებები მრავალფეროვანია, მაგალითად: წერტილების ნაცვლად სწორი პასუხების ჩასმა, სავარაუდო პასუხებიდან სწორი პასუხების შემოხაზვა, მოცემული ქიმიური გარდაქმნების დასრულება; არის თვისებითი ამოცანები და ა.შ.

ლამარა ბურდილაძე, მარინე ბაგალიშვილი: ბიოლოგია, XII კლასი

მარინე ბაგალიშვილი: დამხმარე სახელმძღვანელო ბიოლოგიაში საატესტატო პროგრამის მიხედვითაა შედგენილი და ზუსტად მისდევს მის ყოველ პუნქტს. მოკლედ გეტყვით იმასაც, თუ რატომ გახდა საჭირო ამ სახელმძღვანელოს დაწერა. ბიოლოგიაში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადასალახი პროგრამა მეათე და მერვე კლასის პროგრამების ბაზაზეა შედეგენილი. მოსწავლეებმა ეს პროგრამა რომ გაიარონ, მინიმუმ სამი სახელმძღვანელოს გამოყენება მოუწევთ. მათგან მხოლოდ ორია მითითებული, მესამე მითითებულიც არ არის, რადგან ძველი წიგნია და არც გრიფირებულია. ცხადია, მეთორმეტეკლასელებს, რომლებსაც რვა საგნის ჩაბარება მოუწევთ, ერთი საგნის რამდენიმე სახელმძღვანელოთი მომზადება გაუჭირდებათ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, შეგვედგინა კომპაქტური სახელმძღვანელო, რომელიც საატესტატო პროგრამის ყველა პუნქტს მიჰყვება და ფარავს. სხვა სახელმძღვანელობის გამოყენება მოსწავლეს აღარ დასჭირდება. სახელმძღვანელო პროგრამის მიხედვით დალაგებულ 33 პარაგრაფს მოიცავს, რომელთაგან თითოეული კითხვებით ბოლოვდება. მას თან ახლავს ტესტები, რომლებიც განვლილი მასალის თანმიმდევრულად გამეორების საშუალებას იძლევა.

სახელმძღვანელო დაეხმარება მეთორმეტეკლასელებს ბიოლოგიის ცოდნის მობილიზებასა და ორგანიზებაში, აგრეთვე, ზოგიერთ საკითხში უკეთ გარკვევაში.

მე თავად ვასწავლი მეთორმეტე კლასს და სწორედ ამან გადამაწყვეტინა, რომ მასალისთვის ერთ სახელმძღვანელოში მომეყარა თავი და მოსწავლეებისთვის საატესტატო ზღვრის გადასალახად მომზადება გამეადვილებინა. ალბათ, მასწავლებლების უმეტესობა დამეთანხმება, რომ ძალიან რთული იქნება სამი სახელმძღვანელოთი სწავლება და ამიტომაც ვურჩევ ჩვენს კოლეგებს, გამოიყენონ ეს სახელმძღვანელო და მოკლე დროში მოცემული თემების სრულყოფილად დამუშავება მოასწრონ. მაგალითად, ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია, რომელიც პროგრამაშია შეტანილი, ამომწურავად არც ერთ გრიფირებულ სახელმძღვანელოში არ არის განხილული, ამიტომ მოსწავლე იძულებულია, მოიძიოს და შეიძინოს სხვა, არაგრიფირებული წიგნი. ვფიქრობთ, ამ მდგომარეობას ასეთი ტიპის სახელმძღვანელო გამოასწორებს. თუკი მოსწავლე ჩვენს სახელმძღვანელოს შეიძენს, მოცემული პროგრამის დაძლევას, მასწავლებელთან ერთად, იოლად შეძლებს.

სახელმძღვანელო ილუსტრირებულია და ვიზუალურადაც აკმაყოფილებს სახელმძღვანელოს ფორმატს, რომელსაც თან ერთვის ტესტები.



ლამარა ბურდილაძე:

როგორც ჩემმა კოლეგამ მოგახსენათ, წიგნი ზუსტად მიჰყვება სტანდარტში მოცემულ პროგრამას და სრულად ამოწურავს მას. მისი გამოყენება მოსწავლეებისთვის ძალზე ხელსაყრელი იქნება. სხვა შემთხვევაში, მათ მეშვიდე, მერვე, მეცხრე კლასის სახელმძღვანელოების შეძენა და ამ მასალის წიგნებიდან ამოკრება მოუწევთ. ჩვენი სახელმძღვანელოთი უფროსკლასელებს საქმეს გავუადვილებთ, რადგან ერთ წიგნში თავმოყრილ მზა მასალას ვთავაზობთ. წიგნი, მართალია, არაგრიფირებულია, მაგრამ სრულფასოვანი დამხმარე სახელმძღვანელოა. რაც მთავარია, ეს შრომა ჩვენ მოსწავლეთა დასახმარებლად გავწიეთ, უპრიანი იქნება, თუკი ისინი ამ დახმარებას გამოიყენებენ.

წიგნების შეძენა შესაძლებელი იქნება 25 სექტემბრიდან გამომცემლობა „დიოგენეს“ მაღაზიაში

გამომცემლობა „დიოგენეს“ მისამართი: თბილისი, კეკელიძის ქ. N6, III სართული. ტელ.: 967971, 956394

www.diogene.ge

Peace Corps
მშვიდობის კორპუსი

Since 1961.

საქართველოს მშვიდობის კორპუსი იწვევს მოტივირებულ საჯარო სკოლებს მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის.

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, უკვე ათი წელია, წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შერჩეულ სკოლებს შესაძლებლობა ექნებათ, იმუშაონ ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებელთან 2011-2013 სასწავლო წლების განმავლობაში, ერთობლივი მუშაობის შედეგად აამაღლონ ინგლისური ენის სწავლების დონე და დანერგონ ახალი სასწავლო მეთოდოლოგია. კონკურსში მონაწილეობის მისაღებათ ვიწვევთ სკოლებს, რომლებშიც ინგლისური ისწავლება უცხო ენად კვირაში **მინიმუმ 15 საათი**.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში:

მცხეთა-მთიანეთი
კახეთი
ქვემო ქართლი
სამცხე-ჯავახეთი
გურია
აჭარა
იმერეთი (ხარაგაულის, ზესტაფონის, თერჯოლის, ტყიბულის, სამტრედიის, ვანის, ხონის, წყალტუბოს, ბაღდათის მუნიციპალიტეტები, ქალაქი ქუთაისი)
სამეგრელო (აბაშის და მარტვილის მუნიციპალიტეტები)

თუ თქვენი სკოლა არის ზევით აღნიშნულ რეგიონში და დაინტერესებულია მოხალისესთან თანამშრომლობით 2011-2013 აკადემიურ წლებში:

1. გაეცანით საინფორმაციო ბროშურას (გამოიყენეთ გზამკვლევის სახით და დაიტოვეთ სკოლაში);
2. სრულად შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა (ინგლისურ ენაზე);
3. შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმა მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი №29ა, თბილისი, 0160 ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე: education@ge.peacecorps.gov

შესავსები მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან განათლების რაიონულ რესურსცენტრებში.

სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა **15 ოქტომბერი, 2009 წელი**.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით განათლების პროგრამის ხელმძღვანელს:

ასმათ სიხარულიძე
ტელ: (8 32) 24 12 24
ფაქსი: (8 32) 399 106
ელ-ფოსტა:
asikharulidze@ge.peacecorps.gov

თეო ნეფარიძე
ტელ: (8 32) 24 12 24
ფაქსი: (8 32) 399 106
ელ-ფოსტა:
tneparidze@ge.peacecorps.gov

თავისუფალ უნივერსიტეტში მაღალრეიტინგულ სტუდენტთა მიღება გაიმართა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** თავისუფალ უნივერსიტეტს ეწვია და იმ სტუდენტების მიღებას დაესწრო, რომლებმაც წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში უმაღლესი ქულები მიიღეს და თავისუფალ უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ.

საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტებს საშუალება ექნებათ, ისარგებლონ პროგრამით „ისწავლე დღეს – ასწავლე ხვალ“. ახალი სასწავლო პროგრამა ყველა ნიჭიერ სტუდენტს, ფინანსური მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, უნივერსიტეტში სწავლისა და საუკეთესო განათლების მიღების შესაძლებლობას აძლევს. მათ შეეძლებათ ბაკალავრიატი სწავლის საფასურის გადახდის გარეშე დაამთავრონ, საუკეთესო განათლება მიიღონ, გახდნენ წარმატებულები და ბაკალავრიატის დამთავრებიდან მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ახლადმიღებული სტუდენტის სწავლა დააფინანსონ.

თავისუფალ უნივერსიტეტში, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით, წელს ყველაზე მაღალი საშუალო საკონკურსო ქულა დაფიქსირდა – 2165.6, რაც 110 საკონკურსო ქულით მაღალია საქართველოში, შედეგით მეორე, საშუალო საკონკურსო ქულის მქონე უმაღლეს სასწავლებელთან (თსუ) შედარებით.

საკონკურსო ქულების მიხედვით, საქართველოში, 10 საუკეთესო აბიტურენტიდან 8 თავისუფალ უნივერსიტეტში ჩაირიცხა, აქედან 3 – მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების სკოლაში (MACS), რომელიც მხოლოდ წელს გაიხსნა.

საქართველოში საუკეთესო შედეგი აქვს **ნანო მამაგეიშვილს**. თავისუფალმა უნივერსიტეტმა მას სასწავლო გრანტი გადასცა. საკონკურსო ქულებით მეორე ნომერია **ნიკოლოზ მაჭავარიანი**, რომელიც ასევე უფასოდ ისწავლის თავისუფალ უნივერსიტეტში. სასწავლო გრანტს მიიღებს რეიტინგით მესამე **ნინო ქოქაშვილი**, რომელმაც ბიზნესის ფაკულტეტი აირჩია. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიჭიერ ახალგაზრდებს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადასცა.

შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელები და TBC ბანკის წარმომადგენლები.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი

ულოცავს

სრულიად საქართველოს მასწავლებლობას, მოსწავლეებს და განათლების სისტემის ყველა მუშაკს ახალი, 2010-2011 სასწავლო წლის დაწყებას და უსურვებს მათ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში. დღეს, როდესაც საქართველო დგას ურთულესი საერთაშორისო გამოწვევების წინაშე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სრულფასოვანი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა და მომავალი თაობებისათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა. ამ საქმეში კი პედაგოგთა როლი და მნიშვნელობა ჭეშმარიტად განუზომელია.

სრულიად საქართველოს მასწავლებლობას, კიდევ ერთხელ, ვულოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და ვუსურვებთ პროფესიულ წარმატებებს, შრომის ღირსეულ ანაზღაურებას, სოციალური დაცულობის შეგრძნებას და ერთიანობას ყოველივე ამის მისაღწევად.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი

უპრეცედენტო პროგრამა და რიგი სიახლეები ახალ სასწავლო წელს

გვესაუბრება ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი ნათია ჯოხაძე

2010-11 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა

2010-2011 სასწავლო წლების სასწავლო გეგმაში ძირეული ცვლილებები არ არის, თუმცა მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამაში არის რიგი სიახლეებისა როგორც ზოგადადმინისტრაციულ ნაწილში, ასევე საგნობრივ კომპონენტებშიც. შეიცვალა მოსწავლის შეფასების სქემა, კომპონენტებს აღარ ექნება პროცენტული წონა. მოსწავლეთა შეფასების სამკომპონენტიან სისტემაში სამივე კომპონენტს თანაბარი წონა ექნება და თითოეული კომპონენტის მიხედვით პროცენტების გაანგარიშება საჭირო აღარ იქნება. გამახვილებულია ყურადღება მოსწავლეთა დასწრების სისტემაზე. მოსწავლეთა დასწრება მნიშვნელოვანია როგორც სკოლისთვის, ასევე თვითონ მოსწავლისთვის. ბუნებრივია, მკაცრდება მოსწავლეთა აღრიცხვიანობა. ჩვენი სამწუხარო რეალობა იყო, განსაკუთრებით მაღალ კლასებში, რომ მოსწავლეთა დიდი რაოდენობა გაკვეთილებს არ ესწრებოდა. ამიტომ, სასწავლო გეგმაში ამასთან დაკავშირებით გარკვეული ჩანაწერები შევიდა.

რაც შეეხება ზოგად ნაწილს, არაერთხელ ითქვა, რომ ტრიმესტრული სწავლება სემესტრულით შეიცვალა, რაც, მიგვაჩნია, მოსახერხებელია როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვისაც, რადგან კონკრეტული სემესტრის დასრულების შემდეგ არის გარკვეული პერიოდი დასასვენებლად და შედეგების შესაჯამებლად. გადავედით ორსემესტრიან სისტემაზე. ფიქსირებულია სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები – 15 სექტემბერს ყველა საჯარო სკოლა იწყებს სასწავლო წელს და 15 ივნისს ასრულებს. პირველი და მეთორმეტე კლასები სწავლას 20 მაისს დაასრულებენ.

რაც შეეხება კერძო სკოლებს, რა თქმა უნდა, მათი საქმიანობაც, გარკვეულწილად, ეროვნული სასწავლო გეგმით რეგულირდება, მაგრამ მათ აკადემიური თავისუფლების მეტი ხარისხი აქვთ, ვიდრე საჯარო სკოლებს. თუმცა, მიმაჩნია, რომ საჯარო სკოლების თავისუფლების ხარისხი არ შეზღუდულა – მათ ისევ აქვთ უფლება, რეკომენდებული საათობრივი ბადის ფარგლებში, საათების 25% საკუთარი მოსაზრებებით გადაანაწილონ საგნებს შორის მას შემდეგ, რაც შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას.

დაფიქსირდა, ასევე, სპეციალიზებული სკოლების საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ სკოლას სურს გააძლიეროს ამა თუ იმ საგნის სწავლება, სასწავლო გეგმაში გაწერილია, თუ რა პროცედურები უნდა გაიაროს და რა დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს. საუბარია საათობრივ ბადეზე, ასევე, გაძლიერებულ პროგრამებზე და ა.შ. ეს სიახლეა და ადრე სასწავლო გეგმა ამას არ ითვალისწინებდა.

ახალი სასწავლო გეგმის კიდევ ერთი სიახლეა სადამრიგებლო საათის პროგრამა, რომელიც ჩვენმა ცენტრმა ცალკე პუბლიკაციად, უფრო გაშლილი და დეტალიზებული სახით, დაურიგა ყველა სკოლას. საუბარია დაწყებითი – I-IV – კლასების სადამრიგებლო პროგრამაზე, როდესაც დამრიგებელი კვირაში, მინიმუმ, ერთი საათის განმავლობაში ხვდება ბავშვებს და ესაუბრება პიროვნების მორალურ განვითარებაზე, გარემოსდაცვით კულტურასა და ცხოვრების ჯანსაღ წესზე, მოქალაქეობრივ და პატრიოტულ ცნობიერებასა და სხვა ზოგადსაკაცობრიო ჰუმანურ ღირებულებებზე. პროგრამის მიზანია, დაეხმაროს I-IV კლასების დამრიგებლებს სადამრიგებლო საათის მაქსიმალურად სასარგებლოდ დაგეგმვასა და განხორციელებაში. პროგრამა ერთგვარი მეთოდური სახელმძღვანელოცაა, რომელიც შედგება სადამრიგებლო საათის მიზნის, ძირითადი პრინციპების, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების მოკლე დახასიათების, საუბრის თემებისა და სადამრიგებლო საათის ნიმუშებისგან. მომავალში სადამრიგებლო პროგრამები ყველა კლასისთვის შეიქმნება.

რაც შეეხება საგნობრივ კომპონენტს, აქაც შევიდა ცვლილება. მოგეხსენებათ, გარკვეული საგნების ინტეგრირებული სწავლება აღარ გვაქვს, მაგალითად, VIII კლასში საზოგადოებრივი მეცნიერებებიდან ისტორია და გეოგრაფია უკვე ცალ-ცალკე ისწავლება, რაც შესაბამისი სტანდარტებით სასწავლო გეგმაშიც აისახა. წელს VIII კლასის სახელმძღვანელოებზე გრიფირების კონკურსი იყო გამოცხადებული და ამ საგნებში ახალი, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები გვაქვს. ასევე გარკვეული ცვლილება შევიდა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ორგანიზებაში – ბიოლოგია, ფიზიკა და ქიმია აღარ ისწავლება ტრიმესტრულად, ჩვენი მოსწავლეები ამ საგნებს უწყვეტად ისწავლიან რამდენიმე წლის განმავლობაში.

2009-10 წლებში, მეხუთე კლასებში, მიმდინარეობდა ახალი სასწავლო გეგმის პილოტირება, ამ სასწავლო წელს კი უკვე იწყება დანერგვა, ამიტომ ეროვნულ სასწავლო გეგმას დაემატა მეხუთე კლასის სტანდარტები. შესაბამისად, გამოცხადებული იყო კონკურსი მეხუთე კლასის ახალ სახელმძღვანელოებზე ყველა საგანში, კონკურსი დასრულებულია და სკოლებს უკვე არჩეული აქვთ, თუ რომელი სახელმძღვანელოთი წარმართავენ სწავლებას.

სასწავლო გეგმაში არის ახალი საგანი – სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება. ეს სამმოდულიანი საგანია – IV, VIII და XII კლასებში ისწავლება სემესტრის განმავლობაში. სექტემბრიდან ვიწყებთ XII კლასის მოდულს, ხოლო მეორე სემესტრიდან IV და VIII კლასების მოდულებიც შევა სკოლებში.

პირველი კლასის სასწავლო გეგმაში შევიდა კომპიუტერის მოხმარების მინიმალური საბაზისო უნარ-ჩვევების სტანდარტი და შესაბამისად, მასწავლებლებიც გადამზადდნენ. ასევე მეხუთე კლასში ახალ საგნად შევიდა ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. აღნიშნულ კლასში დაინერგება პირველი დონის სტანდარტი, თუმცა იმ სკოლებს, სადაც უფროსკლასელები არ ფლობენ ამ კომპეტენციებს, შეუძლიათ პირველი დონე ნებისმიერ კლასში შეიტანონ, ანუ ამ საგნის სწავლება განხორციელდება არა კლასების, არამედ დონეების მიხედვით.

საგანი „ფიზაღზრდა“ გარდაიქმნა და ეწოდება „სპორტი“. ჩვენ მოვამზადეთ და სკოლებს მივაწოდეთ სპორტის სხვადასხვა სახეობების გზამკვლევების კრებული, რაც მიგვაჩნია, რომ კარგი რესურსი იქნება მოსწავლეთა მოსამზადებლად სპორტის ამა თუ იმ სახეობაში. არჩევანს სკოლა თვითონ გააკეთებს: სავალდებულოა, მინიმუმ, სამი სახეობის არჩევა, მაქსიმუმი შეზღუდული არ არის. თუ სკოლას სათანადო რესურსი აქვს, შეუძლია ეს საგანი ძალიან მრავალფეროვანი გახადოს. მასწავლებელთათვის მომზადებული გზამკვლევი სპორტის 26 სახეობას მოიცავს.

პილოტირების რეჟიმში გვაქვს გარკვეული საგნები, მაგალითად, „მსოფლიო კულტურა“, რომელიც წელს 15 სკოლაში გაივლის პილოტირებას. პედაგოგების ტრენინგები უკვე დასრულებულია. პილოტირების რეჟიმშია, ასევე, პირველ კლასებში ინგლისური ენა. მოგეხსენებათ, რომ 3000 ბავშვისთვის შეძენილ იქნა კომპიუტერები და იმ სკოლებში, სადაც პირველკლასელებს ნეთბუქები დაურიგდებათ, პირველ კლასში საპილოტედ შედის ინგლისური ენა.

გრიფირების კონკურსი

წელს გამოცხადებული კონკურსის შედეგად, რიგ კლასებსა და საგნებში (სადაც ამის საჭიროება იყო) გვაქვს ახალი სახელმძღვანელოები.

სიახლე ის იყო, რომ შეიცვალა სახელმძღვანელოებისთვის გრიფის მინიჭების კონკურსის პირობები, გამკაცრდა გრიფირების წესი. მინდა, კიდევ ერთხელ განვმარტო, თუ რას წარმოადგენს ეს კონკურსი: სახელმძღვანელოების სეგმენტში მონაწილეობენ კერძო გამომცემლები, ასე ვთქვათ, კერძო კომპანიები. ჩვენ ვაცხადებთ კონკურსს ამა თუ იმ კლასის სახელმძღვანელოებზე (მაგალითად, წელს, რადგან მეხუთე კლასის სახელმძღვანელოები ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით არ იყო შექმნილი, მეხუთე კლასის ყველა საგანში გამოვაცხადეთ კონკურსი). გამომცემლობებს შემოაქვთ სახელმძღვანელოები, ჩვენ ვაფასებთ და ამ შეფასების პროცესში ვიწვევთ როგორც მოქმედ მასწავლებლებს, ასევე აკადემიური წრეების წარმომადგენლებს. რა თქმა უნდა, სახელმძღვანელოების შეფასებაში ჩვენი ცენტრის ექსპერტებიც მონაწილეობენ. შეფასების საფუძველზე სახელმძღვანელოს ან მიენიჭება გრიფი, ან – არა. გრიფი არ მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ ის ვერ გადალახავს ქულობრივ ბარიერს, რომელიც წელს პირველად დაწესდა. ეს ქულობრივი ბარიერი შეფასების სხვადასხვა კომპონენტთა ჯამია (საუბარია როგორც მეთოდიკაზე, შინაარსზე, სახელმძღვანელოს სამეცნიერო ფასეულობაზე, აგრეთვე ტექნიკურ პარამეტრებზე, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სახელმძღვანელო).

წელს საკონკურსოდ შემოტანილი 120 სახელმძღვანელოდან 77-მა მიიღო გრიფი, 43-მა ქულობრივი ბარიერი ვერ გადალახა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ წელს უკეთესი ხარისხის სახელმძღვანელოები მივა მოსწავლემდე, ვიდრე ეს შეიძლება ყოფილიყო მაშინ, როდესაც, სამწუხაროდ, ყველა სახელმძღვანელო იღებდა გრიფს. ბუნებრივია, დიდი იყო შანსი, რომ სკოლებში დაბალი ხარისხის სახელმძღვანელოები შესულიყო.

პროცესი დასრულებულია, სკოლებმა არჩევანი უკვე გააკეთეს და კონკრეტულ კლასებში ამ სახელმძღვანელოებით იწყება სწავლა.

მნიშვნელოვანია, რომ წელს ყველა სახელმძღვანელოს გარეკანზე ფიქსირებულია ფასი (ეს ერთ-ერთი მოთხოვნა იყო გრიფირებისას). სამწუხაროდ, ადრე ასე არ იყო და თუ სახელმძღვანელო, მაგალითად, ღირდა 6 ლარი, მშობელს შეიძლება 20 ლარად ეყიდა. ირღვეოდა მისი, როგორც მომხმარებლის, უფლება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო რაიონებში. ახლა ძალიან რთული იქნება სახელმძღვანელოებით სპეკულირება.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო არ ერევა სახელმძღვანელოების გაყიდვაში, მას აქვს ბერკეტი, ისე დაარეგულიროს ეს პროცესი, რომ მოსწავლისთვის და მშობლისთვის ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო სახელმძღვანელო. ფასის დაწერა სწორედ ამის ერთ-ერთი მანიშნებელია.

ჩვენ შექმნილი გვქონდა სააპელაციო კომისია, რადგან ბუნებრივია, ადამიანებს აინტერესებდათ, რატომ ვერ გაიარა გრიფირება ან რატომ დააკლდა ქულა მათ მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოს. კომისია განიხილავდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევას. კომისიას სრული უფლება ჰქონდა, შეეცვალა დასკვნა, თუ აღმოაჩენდა, რომ სახელმძღვანელოების შეფასებისას გარკვეული ხარვეზები იქნა დაშვებული. წლევანდელმა სააპელაციო კომისიამ ძალაში დატოვა ყველა თავდაპირველი შეფასება. ერთი შემთხვევაა, როდესაც საქმე სასამართლოშია შეტანილი. ეს არის გამომცემლობა „დიოგენეს“ V კლასის ინტეგრირებული (ისტორია-გეოგრაფია-სამოქალაქო თავდაცვა) სახელმძღვანელო „ჩვენი საქართველო“. ამ გამომცემლობას წელს საკონკურსოდ შემოტანილი ჰქონდა 18 სახელმძღვანელო, აქედან 13-მა გრიფი მიიღო (სულ ქსელში გამომცემლობა „დიოგენეს“ 90-ზე მეტი სახელმძღვანელო მოქმედებს). დარწმუნებულები ვართ, სასამართლო დაადგენს სიმართლეს.

უპრეცედენტო პროგრამა

მიმაჩნია, რომ ჩვენს სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრამა, განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, არის სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების გადაცემა, რაც წელს პირველად ხორციელდება. სახელმწიფომ ეს პროგრამა 8-მილიონიანი ბიუჯეტით დააფინანსა. მთელი საქართველოს მასშტაბით ყველა სკოლის, ყველა კლასის სოციალურად დაუცველ მოსწავლეს სახელმწიფო უსასყიდლოდ გადასცემს სახელმძღვანელოების სრულ კომპლექტებს. ამ პროცესში ჩართულნი იყვნენ სკოლების დირექტორები, რომლებიც ადგილებზე ავსებდნენ მონაცემებს, კონკრეტულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. შემდეგ ეს ინფორმაცია შეიკრიბა სამინისტროში და შეჯამდა. დღეისათვის სკოლებს სახელმძღვანელოები უკვე გადაეცათ.

ძალიან კარგი იყო, როდესაც პირველკლასელებს სახელმწიფო ურიგებდა სახელმძღვანელოებს, მაგრამ განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ეს პროგრამა ბევრად უფრო მასშტაბური და მნიშვნელოვანია.

როდესაც ეს მოსწავლეები შემდეგ კლასებში გადავლენ, სახელმძღვანელოები სკოლების ბიბლიოთეკებში დარჩება და შემდგომი თაობის სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს გადაეცემა. ამით, ერთი მხრივ, განმტკიცდება საბიბლიოთეკო სისტემა სკოლებში და, მეორე მხრივ, რამდენიმე თაობა იქნება უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით.

კიდევ ერთ საკითხზე მინდა შევაჩერო ყურადღება: დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში ხშირად იყო ისეთი ტიპის სავარჯიშოები, როდესაც მოსწავლეს წიგნის გვერდებზე მოეთხოვებოდა ჩანაწერის ან ჩანახატის გაკეთება. წელს ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ ასეთი ტიპის სავარჯიშოები ცალკე რვეულად გაეტანათ. ამით სახელმძღვანელო შემდგომი თაობისთვისაც ხელმისაწვდომი გახდება. ეს მოთხოვნაც წელს პირველად ჩაიდო გრიფირების წესში.

2011-2016 წლების ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა

2010-11 წლების სასწავლო გეგმის პარალელურად, ჩვენი ცენტრი ინტენსიურად მუშაობდა მომავალ სასწავლო გეგმაზე, რომლის დანერგვა 2011 წლიდან დაიწყება და, მინიმუმ, 5-წლიანი ვადა ექნება. შემუშავებული გვაქვს ყველა საგნობრივი სტანდარტის პროექტი, რომელსაც განვიხილავთ მასწავლებლებთან ერთად. საგნობრივი სტანდარტის შექმნაში 280 ადამიანია ჩართული – მათ შორის, რა თქმა უნდა, არიან ცენტრის თანამშრომლები, მაგრამ დიდ წილს შეადგენენ აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მასწავლებლები, მეთოდისტები, ფსიქოლოგები, მოსწავლეებიც კი. მიგვაჩნია, რომ ეს ისეთი დოკუმენტია, რომელიც საჯარო განხილვას საჭიროებს. ბუნებრივია, ყველა სკოლაში ვერ ჩავალთ, მაგრამ ყველა დიდ ქალაქს ვესტუმრებით და პედაგოგებს შევხვდებით. პროექტი უნივერსიტეტებსაც ეგზავნებათ შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციებისთვის. სექტემბრის ბოლოს დოკუმენტს დასრულებული სახე მიეცემა და უფრო დეტალურად შეგვეძლება საუბარი მის ირგვლივ.

ესაუბრა
ლალი თვალაგეიშვილი

პროექტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება N _____
2010 წლის _____ სექტემბერი ქ. თბილისი

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ და „ო“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება დანართი №1 შესაბამისად.

2. დამტკიცდეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასური დანართი №2 შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების, სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის წესისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 20 ნოემბრის №1030 ბრძანება.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დიმიტრი შაშკინი

დანართი №1

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს დებულება ადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების (შემდგომში – სტანდარტები) დაკმაყოფილების პირობებს და ავტორიზაციის პროცედურას.

მუხლი 2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანი და შინაარსი

1. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანია შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

2. სტანდარტი არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად.

3. დაწესებულებას აქვს მისია, რომელიც შეესაბამება საქართველოში განათლების სათანადო საფეხურის ძირითად მიზნებს და არის დაწესებულების თვითმყოფადობისა და სახის გამომხატველი.

4. ავტორიზაცია საგანმანათლებლო დაწესებულებების მისიიდან გამომდინარე ადგენს დაწესებულების შესაბამისობას შემდეგ სტანდარტებთან:

ა) საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ) მატერიალური რესურსი;

გ) ადამიანური რესურსი.

5. ავტორიზაცია არის დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასების მექანიზმი, რომლითაც ხორციელდება შიდა შეფასების (თვითშეფასება) დადასტურება. თვითშეფასებას ახორციელებს დაწესებულება საკუთარი საქმიანობის შეფასების წესის შესაბამისად და ადგენს ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშს, ხოლო გარე შეფასებას საჯარო სამართლის იურიდიული პირი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).

თავი II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები

მუხლი 3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები

სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

ა) სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას;

ბ) სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები;

გ) სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;

დ) სკოლას შემუშავებული აქვს საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები;

ე) სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად;

ვ) შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით;

ზ) შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.

მუხლი 4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი

სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

ა) დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 250 კვ.მ ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ა.ბ) საკლასო ოთახები აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით;

ა.გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი;

ბ) სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;

გ) სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით;

დ) სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;

ე) სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას;

ვ) სკოლაში დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ზ) სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები;

თ) შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს;

ი) დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

მუხლი 5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი

სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

ა) სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი;

ბ) სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;

გ) სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა;

დ) მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები;

ე) სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები;

ვ) სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

თავი III. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები

მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები

სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

ა) დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

ბ) დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასებათა წესების შესახებ;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს;

დ) დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები;

ე) დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები;

ვ) დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი

სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

ა) დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას;

ბ) შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, არანაკლებ 400 კვ.მ-ისა, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალური რესურსი იძლევა დაწესებულების მისიიდან გამომდინარე საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას;

გ) დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;

დ) დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;

ე) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;

ვ) დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;

ზ) ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა

ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ

დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი

სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

ა) დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 სტუდენტზე მინიმუმ ერთი მასწავლებელი;

გ) პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IV. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები

მუხლი 9. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები

სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

ა) დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

ბ) დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ;

გ) საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტებს;

დ) დაწესებულებას თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები;

ე) დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას;

ვ) დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი;

ზ) საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ;

პროექტი

თ) დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მუხლი 10. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი

1. სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

ა) დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის, შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს;

ბ) შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, არანაკლებ 700 კვ.მ-ისა, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერების რაოდენობა და სასწავლო პროცესის ინვენტარი იძლევა დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების საშუალებას;

გ) დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას;

დ) დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;

ე) მატერიალური რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის;

ვ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;

ზ) დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;

თ) დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი;

ი) დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;

კ) ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;

ლ) უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების დაფინანსება.

მუხლი 11. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი

სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

ა) დაწესებულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევართა და მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ბ) ავტორიზაციის მიზნებისთვის ერთი სრული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ერთ უნივერსიტეტს, მხოლოდ ორ სასწავლო უნივერსიტეტს, ან მხოლოდ ორ კოლეჯს, ან სასწავლო უნივერსიტეტსა და კოლეჯს, პროფესორის არჩევით; ხოლო ასოცირებული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ორ დაწესებულებას პროფესორის არჩევით. სრული ან ასოცირებული პროფესორის მიერ ორ ან მეტ დაწესებულებაში სრული ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავება მოწმდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების შესაბამისად;

გ) დაწესებულებაში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა განისაზღვრება დაწესებულების სახის მიხედვით:

გ.ა) კოლეჯში – მინიმუმ ერთი სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორი 40 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 10 პროფესორისა;

გ.ბ) სასწავლო უნივერსიტეტში – არა უმეტეს 5 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 50 სტუდენტზე, 6-იდან 12 საგანმანათლებლო პროგრამამდე განხორციელების შემთხვევაში – მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 60 სტუდენტზე, 12 და მეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში – მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 70 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 15 პროფესორისა;

გ.გ) უნივერსიტეტში – არა უმეტეს 11 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 50 სტუდენტზე, 12-იდან 24 საგანმანათლებლო პროგრამამდე განხორციელების შემთხვევაში – მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 60 სტუდენტზე, 24 და მეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში – მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 70 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 25 პროფესორისა.

დ) საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევრების ან მასწავლებლების მიერ;

ე) აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

ვ) აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, მკვლევრებთან და მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი V. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების გარეშე

მუხლი 12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, განახორციელოს პროფესიული განათლების პირველი სამი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

მუხლი 13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პირობა

ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, განახორციელოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ ამ დებულების III თავით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

თავი VI. ავტორიზაციის ჩატარების წესი

მუხლი 14. ავტორიზაციის პროცესი

1. ავტორიზაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) საავტორიზაციო განაცხადის წარდგენა;

ბ) ავტორიზაციის მაძიებლად ცნობა;

გ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა;

დ) საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელება;

ე) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შედგენა და დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;

ვ) ავტორიზაციის საკითხზე ზეპირი მოსმენის გამართვა;

ზ) გადაწყვეტილების მიღება და გამოქვეყნება.

2. ავტორიზაციისა და ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლად ცნობიდან 90 დღის განმავლობაში.

მუხლი 15. საავტორიზაციო განაცხადი

საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ცენტრში წარდგენილ განაცხადს უნდა დაერთოს:

ა) თვითშეფასების შევსებული კითხვარი;

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობის მომწესრიგებელი დოკუმენტის (წესდება ან სხვა) დამოწმებული ასლი;

გ) ავტორიზაციის განაცხადის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 16. თვითშეფასება

1. თვითშეფასების მიზანია ავტორიზაციის მისაღებად დაწესებულების მზაობის შეფასება.

2. თვითშეფასება ხდება ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

3. თვითშეფასების შედეგები აისახება თვითშეფასების კითხვარში.

4. თვითშეფასების კითხვარის ფორმა მტკიცდება ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

მუხლი 17. ავტორიზაციის მაძიებლად ცნობა

1. ცენტრი, 3 დღის ვადაში, ამოწმებს საავტორიზაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ დებულების მე-13 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.

2. თუ განმცხადებელი ცენტრს არ წარუდგენს ამ დებულების მე-13 მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე დოკუმენტს, ცენტრი განმცხადებელს განუსაზღვრავს, არანაკლებ 5 და არა უმეტეს 15 დღის, ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივ აქტს დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლად ცნობის შესახებ.

4. თუ დაწესებულება ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გამოასწორებს ხარვეზს, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

მუხლი 18. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა

1. ავტორიზაციის მაძიებლად ცნობის შემდეგ ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.

2. ავტორიზაციის ექსპერტი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება, თუ მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი ავტორიზაციის მაძიებელ იმ დაწესებულებასთან, რომელშიც უნდა განახორციელოს ვიზიტი.

3. ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულება უფლებამოსილია, ცენტრში წარადგინოს ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილება ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 2 დღის ვადაში.

4. დაწესებულება ვალდებულია, დაასაბუთოს ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილება. აცილების საფუძველი შეიძლება გახდეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ან/და წევრის ინტერესთა კონფლიქტი.

5. ამ დებულების მიზნებისთვის ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობა.

6. ცენტრი აცილების განცხადებას განიხილავს 3 დღის ვადაში. აცილების განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას ჯგუფის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

7. ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ახორციელებს ვიზიტს.

8. ვიზიტის ხანგრძლივობა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა რაოდენობა, დაწესებულების პროგრამების რაოდენობისა და რესურსების მოცულობის შესაბამისად, განისაზღვრება ცენტრის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 19. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა

1. ავტორიზაციის ექსპერტი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე.

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნეს ცენტრის თანამშრომელი.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის წესი მტკიცდება ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 20. საავტორიზაციო ვიზიტი

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს და უზრუნველყოფს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებას.

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი მონაწილეობს ჯგუფის მუშაობაში, უზრუნველყოფს თავმჯდომარის მიერ მისთვის განსაზღვრული მოვალეობების ფარგლებში დასკვნის მომზადებას.

3. ავტორიზაციის ექსპერტი ვალდებულია:

ა) საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლოს ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების თვითშეფასების შევსებული კითხვარი და თანდართული დოკუმენტაცია, დაადგინოს მისი შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან;

ბ) საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში შეამოწმოს ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად, გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში, ჩაატაროს პერსონალისა და სტუდენტების ინტერვიუირება.

4. ცენტრი უფლებამოსილია, განახორციელოს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგი.

5. დაწესებულება ვალდებულია, ხელი შეუწყოს ავტორიზაციის ექსპერტებს საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებასა და შესაბამისი დასკვნის მომზადებაში, წარუდგინოს მათ ავტორიზაციის მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტაცია.

6. ექსპერტთა ჯგუფისათვის დაწესებულების მიერ მათი საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, შეწყვიტოს წარმოება.

მუხლი 21. დასკვნა

1. საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად დგება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

2. დასკვნა აღწერს თვითშეფასების კითხვარში შესული მონაცემების ნამდვილობასა და ამ მონაცემების თითოეულ სტანდარტთან შესაბამისობას.

3. დასკვნის ფორმა მტკიცდება ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.

მუხლი 22. ზეპირი მოსმენა

1. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო (შემდგომში – საბჭო) ავტორიზაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

2. საბჭოს სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე ან ცენტრის დირექტორი.

3. ზეპირი მოსმენის შესახებ დაინტერესებულ მხარეს ეცნობება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 დღით ადრე. დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში.

4. სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე. საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს საბჭოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

5. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

6. საბჭოს სხდომა საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, სხდომა დახურულად გამოაცხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. ცენტრისა და ავტორიზაციის მაძიებლის წარმომადგენლები, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფში შემავალი ექსპერტები უფლებამოსილი არიან, მონაწილეობა მიიღონ ზეპირ მოსმენაში.

8. საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზეპირ მოსმენაში სხვა პირის მოწვევა.

9. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე.

10. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით, მისცეს საბჭოს ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტებები, წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები, დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა ან უარყოს დასკვნაში მოყვანილი მონაცემები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.

11. ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ.

12. საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში, საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს მდივნის ხელმოწერებით. საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

მუხლი 23. ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭო შედგება 9 წევრისაგან, რომელთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლით.

2. საბჭოს წევრს შეიძლება უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ან:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

დ) ექვსი თვის განმავლობაში სხდომებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში;

პროექტი

ე) ისეთი მოქმედების შემთხვევაში, რომელიც შეუთავსებელია აკრედიტაციის საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან;

ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ სტრუქტურულ ერთეულში საქმიანობის შემთხვევაში, რომელიც სისტემატურად ახორციელებს ხარისხის მართვის უზრუნველყოფას;

ზ) სამინისტროს წარდგინების საფუძველზე.

3. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დასტურდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, სამინისტროს წარდგინებით, ერთ თვეში ნიშნავს ახალ წევრს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

მუხლი 24. ავტორიზაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები

1. საბჭო, ზეპირი მოსმენისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების საფუძველზე, სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ავტორიზაციის შესახებ;

ბ) ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;

გ) ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

2. საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

3. საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

4. გადაწყვეტილება, მიღებიდან 10 დღის ვადაში, ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე.

მუხლი 25. გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ

1. საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის შესახებ, თუ მაძიებელი აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს.

2. ავტორიზაციის ვადა 5 წელია.

3. ავტორიზაციის შემთხვევაში, საბჭო დაწესებულებას განუსაზღვრავს მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას ავტორიზაციის ვადის განმავლობაში.

მუხლი 26. გადაწყვეტილება ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ

ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტს.

თავი VII. ავტორიზაციის სამართლებრივი შედეგები

მუხლი 27. ავტორიზაციის სამართლებრივი შედეგები

ავტორიზაციის შედეგად დაწესებულებას უფლება აქვს, მიიღოს მოსწავლეები, პროფესიული სტუდენტები და სტუდენტები კანონმდებლობით დადგენილი წესით და გასცეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 28. ავტორიზაციაზე უარის თქმისა და ავტორიზაციის გაუქმების სამართლებრივი შედეგები

ავტორიზაციაზე უარის თქმისა და ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში:

ა) დაწესებულება ვერ მოიპოვებს/კარგავს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს;

ბ) მოსწავლეებსა და აღსაზრდელებს უფლება აქვთ, გადავიდნენ სხვა შესაბამის ავტორიზებულ დაწესებულებაში;

გ) სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტატუსი და უფლებამოსილნი არიან, ისარგებლონ მობილობის უფლებით.

მუხლი 29. დაწესებულების რეორგანიზაციის შედეგები

1. ავტორიზებული დაწესებულებების შერწყმის შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი დაწესებულება ითვლება ავტორიზებულად რეორგანიზებული დაწესებულებებისათვის განსაზღვრული ავტორიზაციის ვადებიდან დარჩენილი უმცირესი ვადით. რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი დაწესებულების სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა შეადგენს რეორგანიზაციამდე არსებული რაოდენობების ჯამს.

2. ავტორიზებული დაწესებულების გაყოფის შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი დაწესებულებები ვალდებულნი არიან, გაიარონ ავტორიზაცია.

თავი VIII. სტანდარტების შესრულების მონიტორინგი

მუხლი 30. თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა

1. სტანდარტების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ცენტრი.

2. ავტორიზებული დაწესებულება ვალდებულია, ცენტრს ყოველწლიურად, პირველი მაისიდან 30 ივნისამდე, წარუდგინოს თვითშეფასების წლიური ანგარიში.

3. თვითშეფასების წლიური ანგარიშის ფორმას ამტკიცებს ცენტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. დაწესებულების სტანდარტებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში ცენტრი უფლებამოსილია განსაზღვროს გონივრული (არანაკლებ ერთი კვირის) ვადა შესაბამისი პირობების გამოსასწორებლად.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში დაწესებულების მიერ შესაბამისი პირობების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

მუხლი 31. შემოწმება

1. ავტორიზაციის შემდეგ ცენტრი უფლებამოსილია შეამოწმოს დაწესებულების შესაბამისობა სტანდარტებთან იმ შემთხვევაში, თუ:

ა) დაწესებულება დადგენილ ვადაში არ წარადგენს თვითშეფასების წლიურ ანგარიშს;

ბ) არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დაწესებულება არ ასრულებს ერთ ან რამდენიმე სტანდარტს ან არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2. შემოწმება ხორციელდება ამ დებულების II- VI თავებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 32. ავტორიზაციის გაუქმება

დაწესებულების შემოწმების შედეგად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, თუ დაწესებულება არ შეესაბამება ერთ-ერთ სტანდარტს, აგრეთვე, თუ დაწესებულებამ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები.

თავი IX. მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის წესი

მუხლი 33. მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის ზოგადი საფუძვლები

1. მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობებს ამ წესის შესაბამისად განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭო.

2. მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა ხდება:

ა) ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – ავტორიზაციის ვადით;

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში – ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.

3. ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა მიღება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბება არის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი, გარდა სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესით ჩარიცხვისას სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბების კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 34. მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა ადგილების რაოდენობების გაზრდა

1. საგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე წერილობითი განაცხადით მიმართავს ცენტრს.

2. მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა ხორციელდება ამ დებულების 34-ე-36-ე მუხლებით გათვალისწინებული პარამეტრების ამსახველი ინფორმაციისა და ამ დებულების შესაბამისად გაცემული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 35. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა საერთო რაოდენობა განსაზღვრება შემდეგი მონაცემების ჯამით:

ა) დაწესებულების საერთო ფართი შეფარდებული 4-თან;

ბ) სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა გამრავლებული 10-ზე, მაგრამ არა უმეტეს 300-ისა.

მუხლი 36. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი მონაცემების ჯამით:

ა) დაწესებულების საერთო ფართი შეფარდებული 4-თან;

ბ) მასწავლებელთა რაოდენობა გამრავლებული 8-ზე, მაგრამ არა უმეტეს 400-ისა.

მუხლი 37. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი მონაცემების ჯამით:

ა) დაწესებულების სასწავლო ფართი შეფარდებული 4-თან;

ბ) საგანმანათლებლო და კვლევით პროცესში გამოყენებული დამხმარე ფართი შეფარდებული 16-თან, მაგრამ არა უმეტეს 500-ისა;

გ) აკადემიური პერსონალის რაოდენობა გამრავლებული 8-ზე, მაგრამ არა უმეტეს 500-ისა.

2. დაწესებულების სასწავლო ფართად მიიჩნევა მისი პროგრამებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო ან/და კვლევითი მიზნებისათვის სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორია, ლაბორატორია და ბიბლიოთეკა, ასევე აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები.

3. დამხმარე ფართად მიიჩნევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული ფართი, რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესის განხორციელებას, თუმცა არ მიეკუთვნება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ფართს.

მუხლი 38. სტუდენტთა ადგილების რაოდენობის რეგისტრაციის წესი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ცენტრის მიერ დადგენილი სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში დაწესებულება განსაზღვრავს და ცენტრს წარუდგენს:

ა) მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ საფეხურზე;

ბ) მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) მობილობით სტუდენტთა ჩარიცხვისათვის გამოყოფილი ვაკანტური ადგილების რაოდენობას.

2. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების მიერ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ წარმოდგენილი მონაცემები შეესაბამება ცენტრის მიერ დადგენილი სტუდენტების ადგილების რაოდენობას, ცენტრი არეგისტრირებს წარმოდგენილ მონაცემებს და შესაბამის ინფორმაციას უგზავნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – გამოცდების ეროვნულ ცენტრს.

3. მომავალ წელს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის რეგისტრაცია ხორციელდება დაწესებულების სტუდენტთა ფაქტობრივი, მიმდინარე წელს მისაღები/მიღებული და დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის რეგისტრაცია ხორციელდება ყოველწლიურად. მისაღებ სტუდენტთა ყოველწლიური რეგისტრაციის ვადას, ცენტრისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის გამოცდების ეროვნული ცენტრის წინადადებების გათვალისწინებით, ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვაკანტური ადგილების რეგისტრაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით.

მუხლი 39. ცენტრის ინიციატივით დაწესებულებისათვის მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა რაოდენობის შეცვლა

ცენტრის ინიციატივით დაწესებულების მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს დაწესებულების შესაბამისი პირობების შემოწმების საფუძველზე, ამ დებულების შესაბამისად.

თავი X. გარდამავალი დებულებები

მუხლი 40. ავტორიზაციის პირობების შესრულებაზე კონტროლი გარდამავალ ეტაპზე

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 20 ნოემბრის №1030 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარდგენილი თვითშეფასების კითხვარის გადამოწმებისა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის საფუძველზე, ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-20 პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული ან 2010 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი ამავე კანონის 66’ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინების საფუძველზე, ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-20 პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული ან 2010 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი ამავე კანონის 66’ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას ავტორიზაციის საბჭო იღებს ამ დებულების VIII თავით დადგენილი წესით.

დანართი 2

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასური

მუხლი 1. ავტორიზაციის საფასურის ოდენობები

1. ავტორიზაციის განაცხადის საფასური შეადგენს 500 ლარს.

2. ავტორიზაციის მაძიებლად ცნობის შემთხვევაში, დაწესებულება იხდის ავტორიზაციის საფასურს, რომელიც განისაზღვრება დაწესებულების სახის მიხედვით:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, რომელიც ახორციელებს მხოლოდ ერთი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას – 2000 ლარი;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, რომელიც ახორციელებს მხოლოდ ორი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს – 3500 ლარი;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს – 5000 ლარი;

დ) პროფესიული კოლეჯისათვის – 5000 ლარი;

ე) სათემო კოლეჯისათვის – 7000 ლარი;

ვ) კოლეჯისთვის – 7000 ლარი;

ზ) სასწავლო უნივერსიტეტისთვის – 12000 ლარი;

თ) უნივერსიტეტისთვის – 20000 ლარი;

ი) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რომელსაც სურს დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება – 1000 ლარი;

კ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რომელსაც სურს დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება – 2000 ლარი;

3. მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა/სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იხდის 2000 ლარს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება 3000 ლარს, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება 5000 ლარს.

4. ავტორიზაციის საფასური განმცხადებელს არ უბრუნდება.

მუხლი 2. გარდამავალი დებულება

ავტორიზაციის საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება ის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც 2010 წლის 1 ნოემბრამდე მიიღებს სტატუსის შეცვლის გადაწყვეტილებას და ცენტრში წარმოადგენს საავტორიზაციო განაცხადს პროფესიული ან საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოსაპოვებლად.

რეგიონი

„პეტის სკოლა“ ოცდამეერთე საუკუნეში

მანანა ჯინჭარაძე მოსწავლეებთან ერთად

ვითანამშრომლოთ და შევძლებთ!

ეს სლოგანი ჩოხატაურის პირველი საჯარო სკოლის ლოგოზე ამოვიკითხე, თანამშრომლობით მიღწეულით დავინტერესდი და წერილის დაწერაც გადავწყვიტე. აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის ჩოხატაურის პირველი საჯარო სკოლა მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს სათავეს და საუკუნოვანზე მეტი ისტორიით დღემდე მოღწეული სასწავლებელი ძალიან ბევრ საინტერესო ისტორიას ინახავს. სკოლის ისტორია გურიის თავადაზნაურთა წინამძღვრის კოწია ერისთავის ეზოში, მისი ძმის პეტრე (პეტი) დავითის ძე ერისთავის მიერ 1884 წელს სკოლის მშენებლობით იწყება. ე.წ. „პეტის“ სკოლად წოდებული სასწავლებელი მალევე ორკლასიანი სწავლებიდან 7-წლიან სწავლებაზე გადადის, ხოლო 1993 წლიდან ათწლედი იხსნება.

1934 წლიდან სკოლას აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის ჩოხატაურის №1 სანიმუშოსაცდელ საშუალო სკოლად მოიხსენიებენ, ოთხი წლის შემდეგ კი სკოლისთვის ახალი კორპუსის მშენებლობა იწყება, 70-იან წლებში მას ახალი კორპუსიც მიემატა, რის შემდეგაც სკოლას რემონტი არ ჩატარებია. 2006 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეაბილიტაციის პროგრამით, სკოლა, რომელსაც ქალბატონი **მანანა ჯინჭარაძე** უდგას სათავეში, თითქმის თავიდან აშენდა.

სკოლაში 7 კათედრა მუშაობს: ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, შრომითი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის, დაწყებითი კლასების.

სკოლას სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესის ამსახველი მდიდარი ვიდეოთეკა აქვს. სასწავლო პროცესს ემსახურება სასკოლო ბიბლიოთეკა 16000-იანი წიგნადი ფონდითა და სამკითხველო დარბაზით, ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორიები, 2 კომპიუტერული კლასი 33 კომპიუტერით, ვიდეო და აუდიოტექნიკა, ღია და დახურული სპორტული მოედნები.

ორიგინალური ფორმით, წლის ბოლოს, სკოლა ანგარიშს აბარებს მშობლებს და ყველა დაინტერესებულ პირს, ვისაც კითხვა უჩნდება: რა გააკეთა სკოლამ მთელი წლის განმავლობაში. თითოეული კლასი, კათედრა საკუთარი კუთხით და ნამუშევრებითაა წარმოდგენილი შემფასებლის, ძირითადად, მშობლებისა და მომავალი მშობლების წინაშე, ხშირად ადგილობრივი ხელისუფლებისა და განათლების სისტემის წარმომადგენელთა წინაშეც. მოსწავლეები და მასწავლებლები წლის განმავლობაში გაწეული შრომისა და შეძენილი ცოდნის დემონსტრირებას პრეზენტაციების სახით ახდენენ. საყოველთაო სახალხო წარდგინება – ასე უწოდებს ქალბატონი მანანა, სკოლის მუშაობის გამჭვირვალობის თვალსაზრისით, 2007 წლიდან დანერგილ ტრადიციულ ანგარიშს, რომელიც ყოველწლიურად იხვეწება და, რაც შეიძლება, მიმზიდველ ფორმას იძენს.

დისკეგად აკინძული სკოლის ცხოვრება

დისკებზე ასახულ სასკოლო ღონისძიებებს, პროექტებსა თუ სასწავლო პროცესს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქალბატონი მანანას კაბინეტში. დისკებზე ქრონოლოგიურად ასახული სკოლის ცხოვრება ერთი თვალის შევლებით მდიდრად გამოიყურება, შინაარსის გაცნობისას ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი – პროექტები, ღია გაკვეთილები, ღონისძიებები, წარჩინებული მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის მიღწევები და ა.შ.

მოსწავლეთა ძალებით, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, თემთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობით სკოლაში ეწყობა საინტერესო, სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად დაგეგმილი ღონისძიებები: ლიტერატურული გმირებისა და ისტორიული პიროვნებების გასამართლებები, ინტეგრირებული და ინტერაქტიური გაკვეთილები, სასწავლო ექსკურსიები, ცნობილ ადამიანთა მიერ ჩატარებული ლექცია-გაკვეთილები, ინტელექტუალური თამაშები, სასკოლო თუ სკოლისგარეშე პროექტები სხვადასხვა საგნებსა და დისციპლინებში, აქციები...

გამოდის სასკოლო ცხოვრების ამსახველი გაზეთი „მარიოტა“.

ფონდ „ირმის ნახტომის“ მიერ გამოცხადებულ ინტეგრირებული გაკვეთილების კონკურსში ჩაერთო სკოლის 4 მასწავლებელი, რომელთა მიერ ჩატარებული საკონკურსო გაკვეთილები „ირმის ნახტომის“ ვებგვერდზე განლაგდა.

17-მა მოსწავლემ წარჩინებული სწავლისთვის პრეზიდენტის ჯილდო – პერსონალური კომპიუტერი დაიმსახურა. სკოლას ჰყავს პრეზიდენტის სტიპენდიანტი მასწავლებელი.

სკოლა, კარგა ხანია, შერჩეულია ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტოლერანტობის პროგრამის საპილოტე სკოლად. დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა პროექტები, აქციები თემში, ღია საჩვენებელი გაკვეთილები, პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 7 მასწავლებელი. X კლასის მოსწავლემ გაიმარჯვა სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, თემით – „ჰაოსი და ქართლოსი ძმები არიან“ და პერსონალური კომპიუტერი დაიმსახურა.

საინტერესო თანამშრომლობა განვითარდა არასამთავრობო ორგანიზაცია „პროგრესსა“ და ლიტვის რესპუბლიკის ეთიკის ინსტიტუტთან, სადაც შემოქმედებითი მივლინებით გაიგზავნა 3 მოსწავლე და ერთი მასწავლებელი. ასევე სკოლამ სტუმრად მიიღო ეთიკის ინსტიტუტის წარმომადგენლობა. დაისახა ერთობლივი პროექტები და ღონისძიებები.

სკოლასთან თანამშრომლობს და დიდ დახმარებას უწევს არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“, რომლის უშუალო ძალისხმევით გაკეთდა სკოლის თვითშეფასება, შემუშავდა და ჩამოყალიბდა სტრატეგიული გეგმა, ჩატარდა სხვადასხვა სახის ტრენინგი მასწავლებელთა და თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის, მიმდინარეობს ინკლუზიური განათლების დანერგვის ტრენინგები მასწავლებლებისა და მშობლებისთვის.

უკვე სამი წელია, მუშაობს ვაჟთა კლუბი, რომელიც ურფოსკლასელ ვაჟებს თავისუფალ დროს სასარგებლო საქმით აკავებს, რასაც მათთვის წარმატებებიც მოაქვს. ასევე, ფუნქციონირებს: სტუდია „დო, რე, მი“, „ბებიას ოთახი“ პირველკლასელთათვის, ბებიების კლუბი, ვაჟთა ანსამბლი „მომავლის ხმები“, გოგონათა ვოკალური ჯგუფი „ჭრიჭინები“ და სხვ.

ეკოკლუბი საერთაშორისო პროექტებს ახორციელებს, რომელსაც ინგლისური ენის მასწავლებელი **ნაზი ბერძენიშვილი** ხელმძღვანელობს, კლუბმა სერიოზული წვლილი შეიტანა ბორჯომის ხეობის დასუფთავებაში.

მედიაგვერდი

არც არდადეგების პერიოდმა ჩაიარა უქმად და პირველსკოლელებს დირექციამ, ახალ სასწავლო წელს, შენობა რადიოფიცირებული დაახვედრა, რათა შესვენების მცირე დროც მათთვის საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდეს. ასე გაჩნდა „მედიაგვერდი“ სკოლის ცხოვრებაში კიდევ ერთ ახალ გვერდად, რომელიც ინფორმაციის ვაკუუმს ამოავსებს – მუსიკა, მცირე ვიქტორინები, „ვილაპარაკოთ სწორად“, სიახლეების გაცნობა და ა.შ. ეს „მედიაგვერდის“ რუბრიკებია, რაც მთავარია, ინიციატივას თავად მოსწავლეებისგან ელიან, რადგან ერთობლივი მუშაობის სტილი სკოლისთვის მთავარი და შედეგიანი სლოგანია.

რა სიახლეებით ხვდება სკოლა ახალ სასწავლო წელს

ამაზე თავად ქალბატონი **მანანა ჯინჭარაძე** ისაუბრებს: *„არც ერთ სიახლეს გვერდს არ ვუვლით. გვინდა, ყველა ინოვაციას, სიახლეს ჯერ კარგად გავეცნოთ და შემდეგ ჩვენს სკოლაში დავნერგოთ. გასულ წელს, კონკურსზე „ნოვატორი“, რომელშიც ჩვენი სკოლის 8 მასწავლებლის 14 ნამუშევარი მონაწილეობდა, სამის გარდა, ყველა პირველ ხუთეულში მოხვდა და სკოლას „ინოვაციის“ ტიტული მიენიჭა.*

ყველა ის სიახლე, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლებს შემოგვთავაზა, რასაკვირველია, სურვილი გვაქვს, წარმატებით განვახორციელოთ. წელს ერთ-ერთ სიახლედ სპორტის სწავლების დანერგვაა. სკოლას ორი დიდი მოედანი აქვს და ერთი სპორტდარბაზი, თუმცა ერთი დარბაზის დამატება მაინც სჭირდება, რადგანაც სპორტის გაკვეთილები შეუფერხებლად და ხარისხიანად ჩაუტარდეს 500-ზე მეტ მოსწავლეს.

ჩვენს სკოლაში სიახლეა, ასევე, ინკლუზიური სწავლების დანერგვა. საპილოტე ინკლუზიურ სკოლათა რიცხვს განვეკუთვნებით. თავისთავად არ არის სასურველი, როცა ამ კატეგორიის ბევრი მოსწავლე გყავს, მაგრამ, როცა გყავს, სასურველია, მათ სათანადო პირობები შეუქმნა. წელს პირველად, სკოლაში ინკლუზიური განათლება დაიწყება. გასულ წელს რეგიონული მულტიდისციპლინური ჯგუფი (ფსიქოლოგი, სპეციალისტი და ჯგუფის ხელმძღვანელი) შედგა, რომელიც ჩვენს სკოლასთან თანამშრომლობდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 15 მასწავლებელი გადაამზადა ინკლუზიური სწავლებისთვის, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის კი ინდივიდუალური პროგრამები მომზადდა, სასწავლო ინდივიდუალური პროგრამები გაკეთდა 9 ბავშვზე. ეს მართლაც მნიშვნელოვანი საქმეა და, ამავე დროს, შრომატევადიც, რადგანაც პროგრამის მომზადებისას ჯერ მშობელთანაა საჭირო ინდივიდუალური მუშაობა. გამოკვლეულია თითოეული მოსწავლის განათლების დონე, უნარ-ჩვევები და შემდეგ შემუშავებულია სპეციალური პროგრამები. ვიმუშავეთ 9 ბავშვზე, ამ რიცხვს კიდევ ხუთი დაემატება და წელს, სულ, 14 ინკლუზიური მოსწავლე გვეყოლება (გონებრივი შეფერხების მქონე). ამ ბავშვებისთვის სკოლაში ადაპტირებული ავეჯი და ტექნიკა მივიღეთ. ასევე, გვინდა, სათანადო პირობები შევქმნათ ფიზიკური შეზღუდვის მქონე მოსწავლეებისთვის, ამაზე მუშაობა უკვე დაწყებულია, მონტაჟდება პანდუსები და სხვ.

სკოლას ამ კატეგორიის მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება, გარკვეულწილად, აქვს. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების დასახვედრად მზაობაა როგორც პედაგოგების, ისე მშობლებისა და თანატოლების მხრიდან. ვფიქრობთ, ინკლუზიური განათლების პროცესში ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია და ხელსაც შეუწყობს მის სრულფასოვნად წარმართვას. მართალია, ეს პროექტი 2011 წელს მთავრდება, მაგრამ, რადგანაც სკოლას ბაზა ექნება, შემდგომში პროექტს ჩვენივე ძალებით გავაგრძელებთ.“

სკოლის კონტინგენტი ახლომდებარე სოფლებში მცხოვრები მოსწავლეებით გაიზარდა. რადგანაც პირველ საჯარო სკოლაში სწავლის მოთხოვნა გაჩნდა და სკოლას ასეთი 120 მოსწავლე ჰყავს, მათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ავტობუსი გამოუყო. გორაბერეჟოულში, ფარცხმაში, ქვემო ერკეთში, საჭამიასერში, კოხნარსა და წიფნარში მცხოვრებ ბავშვებს ავტობუსი ემსახურება. როგორც გაირკვა, მსურველთა რიცხვი, თურმე, დღითიდღე იზრდება...

წელს სკოლა 45-მდე პირველკლასელს მიიღებს.

მასწავლებელთა სერტიფიცირება

ბუნებრივია, წლევანდელი ზაფხულის ერთ-ერთ აქტუალურ თემას განათლების სფეროში – მასწავლებელთა სერტიფიცირებას ვერც პირველ სკოლაში ავუვლიდით გვერდს. მოვიკითხეთ პედაგოგები, რომელთაც ტესტირება გაიარეს. იმ დროს, სკოლაში ასეთი ორი პედაგოგი აღმოჩნდა

67 მასწავლებლიდან წელს 35-მა სცადა ბედი სასერტიფიკაციო გამოცდებზე, უმეტესობამ პროფესიული უნარები ჩააბარა. *„ეს აუცილებელი პროცესია, რადგანაც პროფესიონალი მასწავლებელი მუდმივად თუ არ განვითარდა, თანამედროვე მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს,* – ასე აფასებს დირექტორი მასწავლებელთა სერტიფიცირებას, – *პედაგოგებმა 43 ქულაც აიღეს, 47, 49, 52-იც, იყო ჩავარდნები, მაგრამ მთლიანობაში ჩვენი სკოლის პედაგოგებმა დამაკმაყოფილებელი სურათი აჩვენეს. რაც მთავარია, მათი განწყობაა დადებითი, რაც იმის საწინდარია, რომ მომავალში კიდევ უფრო წარმატებით გაივლიან გამოცდებს“.*

ქეთევან კუბლაშვილი, რუსული ენის პედაგოგი: *„რასაკვირველია, მასწავლებელთა ტესტირება აუცილებელი პროცესია. შეუძლებელი და დაუძლეველი მართლა არაფერია, ეს ჩემს შედეგებზეც აისახა. ვაუჩერით, ბუნებრივია, ვისარგებლე და მოვემზადე*

დასასრული მე-10 გვერდზე

რეგიონი

„პეტის სკოლა“ ოცდამეერთე საუკუნეში

მე-9 გვერდიდან

სერტიფიცირებისთვის. ტესტირება გავიარე და შემიძლია გითხრათ, რომ სერიოზული შენიშვნები არ მაქვს, პრინციპში არაფერს შევცვლიდი. მხოლოდ გეტყვით იმას, რომ უმჯობესია ორგანიზაციული საკითხები უკეთ იყოს მოგვარებული, ამ მიმართულებით გარკვეული ხარვეზები იყო, მაგალითად, ყურსასმენები იყო სუსტი.... ეს ის დეტალებია, რომელთა გამოსწორება იოლია. პრეტესტირების გავლისას იყო პუნქტი, სადაც გვთხოვდნენ დაგვეფიქსირებინა აზრი სწორედ ტესტების სირთულეზე. ბევრმა პედაგოგმა დაწერა, რომ ტესტი რთული იყო და ბევრი საკითხი იყო მოცემული, რაც შემდგომ, ტესტირებისას, გაითვალისწინეს. მაგალითად, უნარებში, აღარ იყო ბევრი საკითხი (27 საკითხი იყო), თუმცა, არც გაიოლებული იყო, მარტივიდან რთულისკენ იყო დალაგებული, საერთო ჯამში – არავითარი სირთულე არ ყოფილა.

ვერ გეტყვით, რომ ადრე ჩემს თავზე, პროფესიულ ზრდაზე არ ვმუშაობდი, მაგრამ ტესტირებამ ეს პროცესი გააორმაგა. პირველ რიგში, მეტად თავდაჯერებული შევუდგები ახალ სასწავლო წელს. რაც შეეხება მასწავლებელთა სერტიფიცირებით გამოწვეულ უკმაყოფილებას, ვფიქრობ, ეს მაინც ასაკობრივი მიზეზებით იყო განპირობებული. ალბათ, უმჯობესი იქნება, თუკი 50 წლის ზემოთ პედაგოგების გამოცდილებას გაითვალისწინებენ და გამოცდით არ შეაფასებენ. სკოლას უნდა ექნეს უფლება, ასეთ გამოცდილ პედაგოგებს თავად მიანიჭოს სტატუსი. არაფრით არ შეიძლება იმის თქმა, რომ 50 წელს გადაცილებულ პედაგოგს გამოცდილება აკლია...“

ზოია ჯიბლაძე, *ქიმიის პედაგოგი: „წელს უნარები ჩავაბარე, მომავალი წლისთვის საგანში მოვემზადები. საერთოდ, სიახლეს ყოველთვის ინტერესით ვიღებ, მით უფრო, როცა ეს ჩვენს პროფესიულ ზრდას ეხება... მართალი გითხრათ, ვერ დაველოდე მომავალ წელს, რადგანაც მაინტერესებდა, რა სირთულის იქნებოდა სასერტიფიკაციო გამოცდა. მზად ვარ, მომავალ წელს ჩემს საგანში გავიარო ტესტირება.*

ზოგადად კი, შემიძლია გითხრათ, რომ, რასაკვირველია, მასწავლებელი მუდმივად უნდა მუშაობდე საკუთარ თავზე. რაც მთავარია, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს დადებითი განწყობა ამ პროცესებისადმი, მხოლოდ შედეგებზე კი არა, ასეთი შედეგების მიზეზებზეც უნდა ვისაუბროთ. მასწავლებლის პროფესიას პრესტიჟი უნდა დავუბრუნოთ, მასწავლებელს – ავტორიტეტი, მისი შრომა სახელმწიფომ სათანადოდ უნდა შეაფასოს და არამც და არამც არ უნდა მოვიხსენიოთ პედაგოგი საცოდავ ადამიანად, სხვათა საქილიკოდ... მხოლოდ ამ შემთხვევაში გვეყოლება ქვეყანაში ძლიერი, პროფესიონალი მასწავლებლები, შესაბამისად – ძლიერი განათლების სისტემა.“

სამომავლო გეგმები

წინ ბევრი გეგმაა დასახული, ერთ-ერთი, სწორედ სკოლის ისტორიას უკავშირდება და შენობის წინ ხელუხლებლად შემონახულ ერისთავთა პატარა ეზოს ნაწილის ღია მუზეუმად გადაკეთებას ისახავს მიზნად, იქ მისული მოსწავლეები ყოველდღიურად შეეხებიან მეთვრამეტე საუკუნის 30-იანი წლების საქართველოს, მეორე ღია მუზეუმით კი – ოცდამეერთე საუკუნეს – „ნატოს“. ესეც გეგმის მეორე ნაწილია და ჩანაფიქრი, რომელიც, იქვე, ნატოს წევრი ქვეყნების დროშებით წარმოგვიდგება.

სიახლეები ინიციატივები და გვერდაუვლელი პრობლემები

გვესაუბრება ჩოხატაურის რესურსცენტრის უფროსი ეთერ წილოსანი

ეთერ წილოსანი რესურსცენტრის თანამშრომლებთან ერთად

ახალი სასწავლო წელი, ისე როგორც საქართველოს დანარჩენ სკოლებში, ჩვენი რაიონის სკოლებშიც სიახლეებით იწყება. წელს განათლების სფეროში ბევრი კარგი ინიციატივა დაინერგება როგორც სასწავლო პროცესში, ასევე ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ. ბუნებრივია, ვერც პრობლემებს ავუვლით გვერდს, რადგანაც, გარკვეულწილად, გვაქვს პრობლემური სკოლებიც. საუბარს სწორედ ასეთი სკოლებით დავიწყებ. მძიმე მდგომარეობაშია ქვაბღის სკოლის შენობა, რომელიც რეაბილიტაციას არ ექვემდებარება. გამომდინარე იქიდან, რომ სოფელში მცოცავი მიწაა, კაპიტალური შენობის აგება შეუძლებელია, ამიტომაც ხის ნაგებობა უნდა აშენდეს. ჯერ კიდევ 2009 წელს გადაწყდა სკოლისთვის ახალი შენობის აგება, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ეს გადაწყვეტილება შეაფერხა. მანამ კი, ვიდრე ახალი შენობა აიგება, ყოველწლიურად, სკოლას, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საყრდენები უკეთდება და ქვაბღის სკოლის 112 მოსწავლე, დანარჩენ სკოლებთან ერთად, ახალ სასწავლო წელს შეუფერხებლად იწყებს. როდესაც ამდენი მოსწავლე ახალი სასწავლო წლის დაწყებას ელოდება, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ ბავშვები სკოლის გარეშე არ დარჩნენ. ახლომდებარე სკოლებში მათი განაწილებაც რთულია, რადგანაც გარშემო მაღალმთიანი სოფლებია – ზოტი და ნაბეღლავი და, ბუნებრივია, განსაკუთრებით მკაცრი ზამთრის პირობებში, მოსწავლეებს კილომეტრების ფეხით გავლა გაუძნელდებათ. მხარდაჭერა გვაქვს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ისე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან და იმედი გვაქვს, რომ 2011 წლისთვის სკოლას ახალი შენობა ექნება (სკოლის დირექტორი – **ლილი კალანდაძე**).

სოფელი ქვაბღი, ძირითადად, აჭარლებითაა დასახლებული და მეცხოველეობას მისდევს. ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით, მოსახლეობა ტოვებს სოფელს და მიდის ბათუმსა თუ ქობულეთში. ამის ფონზე სკოლამ მაინც შეინარჩუნა კონტინგენტი, რაც, ჩემი აზრით, უდავოდ დირექტორისა და კარგი პედაგოგიური კოლექტივის დამსახურებაა, მეტიც, სხვა სოფლებიდანაც კი იზიდავენ მოსწავლეებს. ქვაბღის საჯარო სკოლა ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლებიდან ყველაზე პრობლემურია, თუმცა, გვაქვს სკოლები, რომლებიც, ასევე, დაუყოვნებლივ რეაბილიტაციას საჭიროებენ, მაგალითად, გუთურისა და შუაგანახლების საჯარო სკოლები. ერკეთის საჯარო სკოლას არ აქვს საკუთარი შენობა, შესახლებულია ყოფილი კოლმეურნეობის შენობაში, რომლის ფართობი ვერ აკმაყოფილებს სკოლის მოთხოვნებს. გუთურისა და შუაგანახლების სკოლებს ნაწილობრივი რეაბილიტაციისათვის (გადახურვა და კარ-ფანჯრის შეცვლა) თანხა გამოვუყავით. სრული რეაბილიტაციის სიაში უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფი სკოლები ჩავსვით: ჩხაკაურას საჯარო სკოლა, რომელიც მაღალმთიან ზონას განეკუთვნება, ასევე, შუაფარცხმის, ხიდისთავისა და გოგოლესუბნის საჯარო სკოლები ახალ სასწავლო წელს რეაბილიტირებული შენობებით შეხვდებიან. გარდა ამისა, მთავრობის მიერ გამოყოფილი 23 ათასი ლარი მოხმარდა სტიქიით დაზარალებული სკოლების – შუაგანახლების, წიფნარის, გუთურის, დიდივანის, ფარცხმის, სამების – შენობების სახურავებისა და ფასადების შეკეთებას. მომავალში, თანდათან, საჭიროების მიხედვით, ჩავრთავთ სკოლებს სარეაბილიტაციოდ. არის სკოლები, რომლებშიც სრული რეაბილიტაციის პროცესი ეტაპობრივადაა დაწყებული. მაგალითად, განახლებაში დაწყებულია რეაბილიტაციის პირველი ეტაპი, დასრულდა მიშენება და, ბუნებრივია, მეორე ეტაპი გაგრძელდება.

ჩოხატაურში სულ 32 საჯარო სკოლაა, აქედან 21-ში მიმდინარეობს სწავლება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, 11-ში კი – დაწყებით და საბაზო საფეხურზე. ოპტიმიზაცია ჩვენს სკოლებში არ განხორციელებულა, 2007 წელს მხოლოდ ერთი გიმნაზია, რომელიც სწავლას საბაზო და საშუალო საფეხურებზე ახორციელებდა, შეუერთდა პირველ საჯარო სკოლას. წელს კოხნარის სკოლა-ინტერნატის ლიკვიდაციაა დაგეგმილი. სპეციალური საჭიროების მქონე სკოლა-ინტერნატში უმძიმესი მდგომარეობაა, ამიტომაც, მინისტრის გადაწყვეტილებით, სკოლა-ინტერნატი უნდა გაუქმდეს, აღსაზრდელები ჭიათურის სკოლა-ინტერნატში გადაიყვანეს.

რაც შეეხება მასწავლებელთა შემცირებას, ამ პროცესმა ჩვენთან უმტკივნეულოდ ჩაიარა, რადგანაც სულ შემცირდა 6 მასწავლებელი და 3 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წარმომადგენელი. ეს შემცირება იმან განაპირობა, რომ ამ პედაგოგებს ძალიან მცირე საათობრივი დატვირთვა ჰქონდათ ან პენსიონერები იყვნენ და ვერ აკმაყოფილებდნენ თანამედროვე მოთხოვნებს.

წელს, რეფორმის ფარგლებში, სასწავლო პროცესში, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ სკოლებში, ჩვენთანაც გარკვეული სიახლეებია. ფიზიკულტურის გაკვეთილები შეიცვალა სპორტის გაკვეთილებით. სკოლები ორიენტირებული იქნებიან კონკრეტულ სახეობებზე. პირველ რიგში, ჩვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სამინისტრომ გაითვალისწინა თითოეული სკოლის ბაზა და ამის მიხედვით გადაწყდა, რომელ სკოლაში სპორტის რომელი სახეობა დაინერგებოდა. არც ერთი სკოლა არ არის, სადაც სპორტის რომელიმე სახეობის განვითარების შესაძლებლობა არ გვქონდეს. სკოლებში, სადაც დახურული ტიპის დარბაზები არ არის, ღია სპორტული მოედნებია და ა.შ. ამდენად, ამ მხრივ, არანაირი პრობლემა არ გვაქვს. მაღალმთიანი სოფლის სკოლებში, ზამთრის პერიოდში, უმეტესად შაშის და ჭადრაკის გაკვეთილები ჩატარდება.

სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის, წელს, სამინისტრომ სერიოზულად იზრუნა – მათთვის სახელმძღვანელოები შეიძინა. სოციალური სააგენტოს მიერ გადაცემული მონაცემებით, განისაზღვრა ამ კატეგორიის მოსწავლეთა რაოდენობა. სულ ჩვენს რაიონში, 15 სექტემბრისთვის, სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი 726-მა მოსწავლემ მიიღო.

სამწუხაროდ, ყოველწლიურად, პირველკლასელთა კლება შეინიშნება, რადგანაც ოჯახები სოფლიდან ქალაქში მიდიან საცხოვრებლად. წელს 274 მოსწავლეს მივიღებთ, რაც გასულ წელთან შედარებით, დაახლოებით, 7-ით ნაკლებია. თუმცა, გასახარელია ის ფაქტი, რომ გაცილებით იმატა შობადობამ.

სამწუხაროდ, არის თითქმის დაცლილი სოფლები, მაგალითად, დიდი ვანის სკოლაში სულ15 მოსწავლე სწავლობს, თუმცა სკოლა ჩვეულებრივ ფუნქციონირებს.

წელს იგეგმება დირექტორების არჩევის მესამე ეტაპი – სერტიფიცირება სკოლის დირექტორებისათვის. ჩვენს რაიონში 32 საჯარო სკოლიდან 17 სკოლას არჩეული დირექტორი ჰყავს, დანარჩენ სკოლებში კი – მოვალეობის შემსრულებლები. ნოემბრისთვის მზად იქნება სერტიფიცირების მასალები, თებერვალში კი დირექტორები გაივლიან სერტიფიცირებას და კანონის თანახმად არჩეულები იქნებიან.

რაიონში ბევრი წარმატებული სკოლაა. ისინი ჩართული არიან პროექტებში, თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ასევე, გვყავს წარმატებული მოსწავლეები, ბევრი მონაწილეობდა სასკოლო ოლიმპიადებში, 411-მა მოსწავლემ პირველი ეტაპი გადალახა; ფლექსის პროგრამით ამერიკაში იყვნენ სასწავლებლად: **მარიამ კალანდაძე, თორნიკე კუჭავა** (პირველი საჯარო სკოლა) და **ანი მეფარიშვილი** (სამრევლო სკოლიდან); რესპუბლიკურ ტურში სამი მოსწავლე გავიდა: 2 – პირველი საჯარო სკოლიდან და 1 – სასულიერო სკოლიდან. გასულ წელს გვყავდა ოქროს და ვერცხლის მედალოსნები (5 – ოქროს მედალოსანი და 7 – ვერცხლის), ასევე წარჩინებული უფროსკლასელები, რომლებმაც საჩუქრად პორტატული კომპიუტერები მიიღეს; „ჩემი თვალით დანახული რუსული აგრესია“ – ამ სახელწოდებით გამართულ კონკურსში ჩვენმა მოსწავლეებმაც გაიმარჯვეს და საკონკურსოდ წარდგენილი თხზულებებით და ნახატებით სამინისტროს მიერ გამოშვებულ კატალოგში შევიდნენ. სასწავლო შემოქმედებით კონფერენციაში, დაახლოებით, 36-მა მოსწავლემ და 16-მა მასწავლებელმა აიღო პირველი ხარისხის დიპლომი, ასე რომ, საკმაოდ კარგი მოსწავლეები და მასწავლებლები გვყავს.

მასწავლებელთა სერტიფიცირებაზე დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით, რადგან ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ მიიღო მონაწილეობა და ვინ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, კონფიდენციალურია და ეს თვითონ პედაგოგთა უფლებაა, გაამჟღავნებენ თუ არა. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ ჩვენმა პედაგოგებმა ნამდვილად გამოხატეს მზაობა, რაც აისახა კიდეც მსურველთა რაოდენობაზე – სულ რაიონში 646 მასწავლებელია, დარეგისტრირდა 138 პედაგოგი, მათგან გამოცდაზე 98 გავიდა. ცუდი შედეგები არ გვაქვს. უმრავლესობამ პროფესიულ უნარებში სცადა ბედი. დაბალქულიანი მასწავლებლები არ გვყავს, უმეტესობა მიახლოებულია გადასალახ ზღვარს, ნაწილმა გადალახა ზღვარი და სერტიფიცირებულია. ბუნებრივია, მომავალ წელს შედეგები გაუმჯობესდება. საერთოდ, მასწავლებელთა სერტიფიცირება აუცილებელია, რადგან პედაგოგი დღითიდღე უნდა განვითარდეს და გაეცნოს სიახლეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროდუქტიული ვერ იქნება. წელს საბუნებისმეტყველო საგნებიც დაემატება.

კადრების დეფიციტი ამჟამად არ გვაქს, იყო მაღალმთიანი სოფლების სკოლები, სადაც არ გვყავდა მათემატიკისა და ქართულის მასწავლებლები. ეს დეფიციტი, ძირითადად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კადრებით შეივსო, მაგალითად, სოფელ გუთურში მცხოვრები პედაგოგი ასწავლის ზემოსურების სკოლაში. პრობლემად მიმაჩნია ის, რომ ასეთი პედაგოგი მხოლოდ საათობრივი დატვირთვის მიხედვით იღებს ანაზღაურებას – რადგან მიმდინარეობს პროგრამა „ასწავლე საქართველოსათვის“, სასურველია, ასეთი პედაგოგებიც ჩართონ ამ პროგრამაში. ინიციატივით მივმართე სამინისტროს, იქნებ ამ მასწავლებლებმა დამატებითი ანაზღაურება მიიღონ. კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან, სოფელ ზოტში ჩოხატაურიდან დადის მუსიკის მასწავლებელი, კვირის განმავლობაში რჩება სოფელში და შაბათ-კვირას ბრუნდება ოჯახში. ასეთი პედაგოგი, რასაკვირველია, უნდა წავახალისოთ. არასამთავრობო ორგანიზაციებსაც კი მივწერე მათი წახალისების შესახებ. თუკი ეს გამოხმაურებას ჰპოვებს, რა თქმა უნდა, კარგი საქმე გაკეთდება.

რუბრიკა მოამზადა
ლალი ჯელაძემ

საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები ინფორმატიკის მსოფლიო ოლიმპიადიდან ოქროს მედლით დაბრუნდა

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქართველ მოსწავლეთა ნაკრებმა ინფორმატიკის მსოფლიო ოლიმპიადაზე პირველი ოქროს მედალი მოიპოვა. აქამდე ოქროს მედალი კიდევ ერთ ქართველ მოსწავლეს, **გიორგი დათუაშვილს** ჰქონდა მოპოვებული 1990 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, რაც არანაკლებ საამაყოა. მსოფლიო ოლიმპიადა ინფორმატიკაში 1989 წლიდან ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა ქვეყანაში. ჩვენი ნაკრები (ნაკრებში, მაქსიმუმ, 4 მოსწავლეა) მასში 1996 წლიდან ჩაერთო და 2000 წელს პირველი ვერცხლის მედალიც მოიპოვა. ამის შემდეგ, ჩვენი მოსწავლეები ყოველწლიურად, მინიმუმ, 2 მედალს მაინც იღებდნენ (2006 და 2009 წლებში ოთხ-ოთხი მედალი მოვიპოვეთ) და დღემდე 6 ვერცხლის, 19 ბრინჯაოს და ყველაზე პატარა გამარჯვებულისათვის დაწესებული 2 სპეციალური მედალი აქვთ მოპოვებული. წელს კი, ნაკრების ხელმძღვანელების, პედაგოგებისა და მოსწავლეების მრავალწლიანი, თავდაუზოგავი და მიზანმიმართული შრომის შემდეგ, ნაკრების ყულაბას პირველი ოქროც შეემატა.

ოლიმპიადა, მიმდინარე წლის 14-21 აგვისტოს, გაიმართა კანადის ქალაქ ვატერლოოში და მასში 83 ქვეყანა მონაწილეობდა. ჩვენი ქვეყნის ნაკრები წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით: **მარიამ კობიაშვილი** – თბილისის დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის XII კლასის მოსწავლე; **ცოტნე ტაბიძე** – ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე; **ნოდარ ამბროლაძე** – ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე; **ნიკა ბეგიაშვილი** – თბილისის 199-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე (თბილისის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“); **გიორგი მანდარია** – გუნდის მწვრთნელი (ხელმძღვანელი); **ზაზა გამეზარდაშვილი** – გუნდის მწვრთნელი (ხელმძღვანელის მოადგილე); **გურამ ქოთოლაშვილი** – გუნდის მწვრთნელი.

ოქროს მედალი **ცოტნე ტაბიძემ** მოიპოვა, რომელიც შარშანდელი ოლიმპიადიდან ვერცხლის მედლით დაბრუნდა. ტრადიციულად, ამ ოლიმპიადებზე ჩინეთისა და რუსეთის ძლიერი გუნდები ლიდერობენ და ყოველწლიურად პირველობასაც არავის უთმობენ. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით სასიხარულო და საამაყოა ის ფაქტი, რომ ცოტნე ტაბიძემ თავისი შედეგით რუსეთის გუნდის ოთხივე და ჩინეთის გუნდის ოთხივე წევრს აჯობა. გარდა ამისა, ჩვენი შედეგით უკან ჩამოვიტოვეთ მსოფლიოს ბევრი განვითარებული და ჩვენზე გაცილებით მრავალრიცხოვანი ქვეყანა.

ერთთვიანი ინტენსიური მოსამზადებელი შეკრება დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ბოლო ათი დღე მეცადინეობები მიმდინარეობდა დაბა ბაკურიანის საჯარო სკოლაში, სადაც გუნდს კარგი პირობები ჰქონდა მომზადებისთვისაც და დასვენებისთვისაც.

მსოფლიო ოლიმპიადა ორ ტურად ტარდება. უკვე მეორე წელია, თითოეულ ტურზე მონაწილეებს 4 ამოცანა ეძლევათ (აქამდე ამოსახსნელი ამოცანების რაოდენობა 3 იყო), ხოლო სამუშაო დრო – 5 ასტრონომიული საათი იგივე დარჩა. გარდა ამისა, წელს ოლიმპიადის მასპინძლებმა და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტმა მონაწილეებს სრულიად განსხვავებული ფორმატის ამოცანები და შეფასების სქემა შესთავაზეს, რამაც, რასაკვირველია, კიდევ უფრო გაართულა სამუშაო პირობები, ზოგიერთი მონაწილე შეჯიბრების პირველ ტურზე დააბნია და უფრო ძნელი გახადა წარმატების მიღწევა. ამის მიზეზია ის, რომ ჩვენი გუნდის დანარჩენმა სამმა წევრმა (ორი მათგანი ამ ტიპის შეჯიბრში პირველად მონაწილეობდა) პირველ ტურზე ქულების გარკვეული ნაწილი დაკარგა და, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტურზე სიტუაციას ალღო აუღეს და საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს, ჯამური ქულა მედლების მოსაპოვებლად უკვე საკმარისი აღარ აღმოჩნდა. სიახლე იყო ისიც, რომ წელს პირველად მსოფლიო ოლიმპიადა ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა და, თუ სხვა წლებში მონაწილეთა მიერ ნაჩვენები შედეგები დაჯილდოებამდე გასაიდუმლოებული იყო, ამჯერად ნებისმიერ მსურველს შეეძლო, ინტერნეტით თვალი ედევნებინა შეჯიბრის მსვლელობისათვის და მონაწილეთა შედეგებისათვის, რამაც ოლიმპიადას საკმაო აზარტი შესძინა. მაგალითად, ცოტნე ტაბიძემ მეორე ტურის ბოლო წამებზე შეძლო კიდევ ერთი ამოხსნილი ამოცანის გაგზავნა, რითაც ძალიან გვანერვიულა და თან უზომოდ გაგვახარა კიდეც (ჩვენს ნაკრებს საქართველოდანაც ბევრი ადამიანი გულშემატკივრობდა და მუშაობის პროცესს ადევნებდა თვალს). ორგანიზატორების მიერ ზოგიერთი პრობლემის გაუთვალისწინებლობის გამო კიდევ უფრო გართულდა მწვრთნელების სამუშაოც – ორივე ტურის წინა ღამით, 7-8 საათის განმავლობაში, ამოცანებს ინგლისურიდან ქართულად თარგმნიან. თუმცა, უდიდესი გამოცდილების ხარჯზე მაინც მოხერხდა ამოცანისთვის თავის გართმევა და ბავშვებისთვის ხარისხიანი თარგმანის დროულად მიწოდება.

როგორც აღვნიშნეთ, ოლიმპიადაზე სამუშაო პროცესი მთლიანად ავტომატიზებულია. წელს, ასევე პირველად, სპეციალური ავტომატიზებული სისტემა იღებდა მოსწავლეთა მიერ დაწერილ პროგრამებს, ტესტავდა მათ სამეცნიერო კომიტეტის მიერ მომზადებულ ყველა რეალურ ტესტზე (წინა წლებში მხოლოდ ზოგიერთი პროგრამის გატესტვა იყო შესაძლებელი ტესტების მხოლოდ გარკვეულ რაოდენობაზე) და შესაბამის დიაგნოსტიკას იძლეოდა, რის შემდეგაც მონაწილეს საშუალება ეძლეოდა, შეცდომების აღმოფხვრაზე ემუშავა და კვლავ გაეტესტა პროგრამის ახალი ვერსია. საბოლოოდ კი, მას ყველა გატესტვათა შორის საუკეთესო შედეგი ეთვლებოდა. ამასთან, იგი შეჯიბრის მთელი მსვლელობის განმავლობაში თვალს ადევნებდა საკუთარი (მხოლოდ საკუთარი) მუშაობის შედეგებს და ოლიმპიადის დასრულებისთანავე იცოდა, თუ რა შედეგი მიიღო. ყოველივე ეს კი, გარანტიაა იმისა, რომ ნაშრომების შეფასების დროს გამორიცხული იყო სუბიექტური ფაქტორი.

რა თქმა უნდა, გუნდის ხელმძღვანელებს უკეთესი შედეგის მიღწევაც გვსურდა, რის საფუძველსაც ჩვენ მიერ წინასწარ ჩატარებული საწვრთნელი შეკრებები და მოსწავლეთა მომზადების მაღალი დონეც იძლეოდა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინფორმატიკის ოლიმპიადას თავისი სპეციფიკაც აქვს და ამიტომ, მიღწეული შედეგიც დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. აქვე უნდა ითქვას, ტრადიციულად, ზამთრის არდადეგების პერიოდში, ნაკრების წევრებისა და კანდიდატებისათვის, თბილისის დემირელის სახელობის კოლეჯში, „საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებისა და ინფორმატიკის ოლიმპიადების მხარდამჭერი ასოციაციის“ თაოსნობით, ისევე როგორც გასულ წელს, კვლავ ჩატარდა 10-დღიანი შეკრება. ამ შეკრების მიზანი, ნაკრების პოტენციური წევრების უკეთ მომზადების გარდა, უმცროსი ასაკის პერსპექტიული მოსწავლეებიდან ნაკრებისათვის მომავალი ღირსეული ცვლის მომზადებაც იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოლიმპიადა ვატერლოოში, კერძოდ კი ვატერლოოს უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარდა. საცხოვრებელი პირობები და კვება ნორმალური იყო. ტურებს შორის თავისუფალ დღეს კი, დელეგაციები დასასვენებლად და გასართობად ვატერლოოს ვონდერლენდში წაიყვანეს და, რაც განსაკუთრებით დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი იყო – ნიაგარას ჩანჩქერზე, რომელიც ვატერლოოდან ავტობუსით, დაახლოებით, 2 საათის სავალზე მდებარეობს.

წლევანდელი ნაკრების მომზადებაში და მსოფლიო ოლიმპიადაზე გამგზავრებაში ბევრმა ადამიანმა თუ დაწესებულებამ შეიტანა წვლილი. თანადგომისა და ხელშეწყობისათვის დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ: **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს სამეცნიერო ეროვნულ ფონდს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, თბილისის დემირელის სახ. კერძო კოლეჯს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ბაკურიანის საჯარო სკოლას**. ასევე, ნაკრების მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ყოფილ ოლიმპიელებს: **ნიკოლოზ ჯიმშელეიშვილს, გიორგი ლეკვეიშვილს, ელდარ ბოგდანოვს, დავით თვალჭრელიძეს** და **ლევან ვარამაშვილს**.

განსაკუთრებით გვინდა მივულოცოთ მიღწეული წარმატება ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლას: დირექტორს – **ივლიანე ნაჭყებიას**, პედაგოგ **ვახტანგ შეკიშვილს** და მთელ კოლექტივს.

გიორგი მანდარია
ნაკრების მწვრთნელი (ხელმძღვანელი), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ზაზა გამეზარდაშვილი
ნაკრების მწვრთნელი (ხელმძღვანელის მოადგილე), თბილისის 199-ე საჯარო სკოლის ინფორმატიკის წრის ხელმძღვანელი

ინფორმაცია

* * *

2010 წლის სექტემბრიდან იწყება სკოლების ბრენდირება, რომელიც საჯარო სკოლებისთვის სავალდებულო, ხოლო კერძო სკოლებისთვის ნებაყოფლობითი იქნება.

ბრენდირება ნიშნავს სკოლების შეფასებას ათვარსკვლავიანი სისტემით სხვადასხვა კრიტერიუმებით, მაგალითად: ინსტიტუციური მონაცემები, სწავლა/სწავლება, მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პროგრამებში /პროექტებში მონაწილეობა, აკრედიტაცია.

შეფასების დაწყებისას ყველა სკოლას ავტომატურად აქვს მინიჭებული ხუთი ვარსკვლავი, ხოლო მომდევნო ხუთის მინიჭება ხდება ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით. სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდება თითოეული კომპონენტი და მისი შესაბამისი შეფასება. ყველა სკოლა თავად მოახდენს თვითშეფასებას და გაგზავნის მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. მონაცემების გადამუშავების შემდეგ მას მიენიჭება შესაბამისი ვარსკვლავი. იმისათვის, რომ არ მოხდეს მიკერძოებული შეფასება, სამინისტროში სპეციალურად შექმნილი კომისია, მინისტრის პირველი მოადგილის **აკაკი სეფერთელაძის** ხელმძღვანელობით, მუდმივად განახორციელებს სკოლის მიერ თვითშეფასების შედეგად მიღებული მონაცემების გადამოწმებას. მონაცემები განახლდება წელიწადში ერთხელ.

ბრენდირების ძირითადი მიზანია სკოლებს შორის კონკურენტული გარემოს შექმნა და მათი წახალისება სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 10 ვარსკვლავის მქონე სკოლის კურსდამთავრებული ავტომატურად მიიღებს ზოგადი განათლების ატესტატს და მისთვის მინიმალური კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდების ჩაბარება არ იქნება აუცილებელი.

* * *

2010 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, ცვლილებები შედის უმაღლესი, პროფესიული და ზოგადი განათლების შესახებ კანონებში – საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოსაპოვებლად სავალდებულო ხდება ავტორიზაცია იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია.

ავტორიზაციის გარეშე დაწესებულება არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და განახორციელოს ამ სტატუსიდან გამომდინარე საქმიანობა: მიანიჭოს ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხი, პროფესიული კვალიფიკაცია ან გასცეს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი.

პირები, რომლებიც კანონის ძალაში შესვლამდე ჩაირიცხნენ ლიცენზირებულ დაწესებულებებში, მიიღებენ ამ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას იმ შემთხვევაში, თუ ეს დაწესებულება განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში, 10 დღის ვადაში, წარმოადგენს ამ პირთა სახელობით სიას პირადი ნომრების მითითებით და მათი ჩარიცხვის ბრძანებებს.

მათ, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდებით ვერ მოიპოვეს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაბეჯითებით მოუწოდებს მიმართონ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ჩაირიცხონ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

პროფესიული განათლების შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებებით პროფესიული განათლება ჩამოყალიბდა აკადემიური განათლების სრულფასოვან ალტერნატივად, რომელიც დასაქმების ბაზართან უფრო მეტად თავსებადია. პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული კვალიფიკაცია და იღებს პროფესიულ დიპლომს. პროფესიულ კვალიფიკაციათა რიცხვს განეკუთვნება: ბუღალტერ-მოანგარიშე, ვებტექნოლოგი, მშენებლობის მენეჯერი, სასტუმროს საქმის სპეციალისტი, ლანდშაფტის დიზაინერი, ფერმერი, მეღვინე და სხვ.

აკადემიურ პროგრამაზე ჩაბარება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებით, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასაბარებლად, შესაძლებელია, მსურველმა მიმართოს როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს შემდგომი კონსულტაციებისთვის.

ინფორმაცია

სოციალური პროგრამის ფარგლებში 800-მდე სტუდენტი დაფინანსდება

დაიწყო იმ სტუდენტების რეგისტრაცია, რომელთაც გაიარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ეკუთვნით სოციალურ პროგრამაში მონაწილეობა.

სოციალური პროგრამის ფარგლებში, სასწავლო გრანტი გაიცემა 2010-2011 სასწავლო წელს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ან პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ, გარკვეული კატეგორიის სტუდენტებზე, დაფინანსდება, დაახლოებით, 800-მდე სტუდენტი.

სწავლა დაუფინანსდებათ ადამიანებს, რომლებიც არიან: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილები, ომში დაღუპულთა შვილები, ინვალიდები, მრავალშვილიანი ოჯახის შვილები, სტუდენტები შეჭირვებული ოჯახებიდან, ასევე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები. ამ კატეგორიის სტუდენტების მიერ მოპოვებული გრანტები 100%-ით შეივსება, ხოლო გარკვეული კატეგორიის სტუდენტებზე, რომლებიც საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ სპეციალობებზე აბარებდნენ და გრანტი ვერ მოიპოვეს, გრანტი პრეზიდენტის ინიციატივით გაიცემა.

2010-2011 სასწავლო წელს საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსებისათვის, სოციალური პროგრამის ფარგლებში, გამოყოფილია 1 073 000 ლარი.

ვინ შეიძლება მოიპოვოს დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში:

სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს იმ სტუდენტმა, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ვერ მოიპოვა გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვა გრანტის ნაწილობრივი ოდენობა და განეკუთვნება ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:

▪ 180 სტუდენტი, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე (შემდგომში ოკუპირებული ტერიტორია) არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ორი წლის განმავლობაში, სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმეტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, აქედან:

▪ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მათ შორის, აჟარის მუნიციპალიტეტში;

▪ ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), მათ შორის, ქურთას, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში;

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში.

▪ 45 სტუდენტი, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები;

▪ 6 სტუდენტი, რომლებიც არიან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

სოციალური პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს სტუდენტმა, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მოიპოვა გრანტის ნაწილობრივი ოდენობა ან სტუდენტმა, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ვერ მოიპოვა გრანტის სრული ან ნაწილობრივი ოდენობა, მაგრამ ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაზე: საინჟინრო, აგრარული, ზუსტი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, საინფორმაციო ტექნოლოგიები და განეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ კატეგორიას:

▪ 153 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

▪ 15 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

▪ 15 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

▪ 2 სტუდენტი, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები;

▪ 20 სტუდენტი, რომლებიც არიან ობოლნი (უდედმამო);

▪ 20 სტუდენტი, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები;

▪ 20 სტუდენტი, რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე.

თუ პროგრამით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა დადგენილებით განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით, იგი გადაეცემათ:

▪ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილებს, რომლებიც ჩარიცხულები არიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს სრული გრანტი ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, 2009-2010, 2008-2009, 2007-2008 სასწავლო წლის სოციალური პროგრამის დაფინანსების ფარგლებში;

▪ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი წარადგენს განცხადებას, რომლის ფორმა და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 16 აგვისტოს №656 ბრძანებით.

* * *

სამინისტროს 2010-2015 წლების ახალი სამოქმედო სტრატეგიის პრეზენტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** პირველად ჟურნალისტებისთვის გამართა.

სასტუმრო-კომპლექს „ბაზალეთში“, სემინარზე, მინისტრმა ვრცლად ისაუბრა ისეთ მნიშვნელოვან სიახლეებზე, როგორიცაა ცვლილებები ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ახალი საგნების სწავლება, სახელმძღვანელოთა გრიფირების ახალი წესი, ინგლისური ენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გაძლიერებულად სწავლება, სკოლების ბრენდირება და სხვ.

სამინისტროს 2010-2015 წლების ახალ სამოქმედო სტრატეგიას მინისტრი უახლოეს მომავალში მთავრობის, პარლამენტის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს წარუდგენს.

სამუშაო შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ჟურნალისტებმა ყველა კითხვაზე პასუხი პირადად განათლებისა და მეცნიერების მინისტრისგან მოისმინეს.

ღონისძიების ფარგლებში, რომელიც 11-12 სექტემბერს მიმდინარეობდა, პრეზენტაციები წარმოადგინეს: სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ეროვნული ცენტრის, გამოცდების ეროვნული ცენტრისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელებმა, მათ ასევე უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

* * *

ნორმატიული დოკუმენტი, რომელზეც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტები მუშაობდნენ, სკოლის დირექტორის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სტანდარტს ადგენს.

სკოლის დირექტორის სტანდარტზე მომუშავე ჯგუფში მონაწილეობდნენ საჯარო და კერძო სკოლების დირექტორები და მასწავლებლები, დამოუკიდებელი ექსპერტები, იურისტები, ფსიქოლოგები, ასევე საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ის წარმომადგენლები. სპეციალურ კონსულტანტებად მოწვეული იყვნენ ჰარვარდისა და ვანდერბილდის უნივერსიტეტის პროფესორები.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი სკოლის დირექტორებისთვის დამხმარე პროფესიული სახელმძღვანელოს შემუშავებასაც გეგმავს.

* * *

ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებლის პროფესიული ეთიკის, სკოლის დირექტორის ეთიკისა და მოსწავლის ქცევის კოდექსები ამოქმედდა.

კოდექსების დამტკიცებამდე გაიმართა სამუშაო შეხვედრები მრჩეველთა საბჭოსთან, დირექტორებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან. კოდექსის საბოლოო ვარიანტში ყველა ის კონსტრუქციული შენიშვნა და მოსაზრებაა ასახული, რომლებიც განხილვისას გამოითქვა.

კოდექსის ამოქმედება ხელს შეუწყობს სასკოლო გარემოს გაუმჯობესებას, ასევე, მასწავლებლებს, დირექტორებსა და მოსწავლეებს შორის ეთიკურად გამართლებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ეთიკის კოდექსების საფუძველზე, ყველა სკოლა საკუთარ შინაგანაწესს შეიმუშავებს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიცირებული პროგრამის ფარგლებში, **ადელინა ჭანტურია**, რომელიც კოჯრის ბავშვთა სახლში ცხოვრობს, სწავლას კერძო სკოლა-ლიცეუმის „მწიგნობართუხუცესი“ მეთორმეტე კლასში გააგრძელებს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გოგონა ახალ სკოლაში პირადად მოინახულა და პერსონალური კომპიუტერი გადასცა.

ადელინა ჭანტურია სოციალურად დაუცველი ოჯახიდანაა, და-ძმასთან ერთად ბავშვთა სახლში ცხოვრობს და წარჩინებული სწავლით გამოირჩევა. ამიერიდან, გოგონას განათლებაზე კერძო სკოლის ხელმძღვანელობა იზრუნებს, მას კარგი სწავლისთვის ყველა პირობას შეუქმნიან. იმ შემთხვევაში, თუ ადელინა სტუდენტი გახდება, სწავლის საფასურს სკოლა დაუფარავს, ასევე საბანკო ანგარიშს გაუხსნის, სპონსორებს მოიძიებს და უმაღლესის წარმატებით დასრულების შემდეგ საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფს.

ამ ქველმოქმედებას სკოლა სამინისტროს ახალი პროექტის ფარგლებში ახორციელებს, რომლითაც ნიჭიერ და წარმატებულ მოსწავლეებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან და მოსწავლეებს, რომელთაც სასკოლო ეროვნულ ოლიმპიადებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო კონკურსებში გაიმარჯვეს, შესაძლებლობა ეძლევათ, კერძო სკოლებში უფასოდ ისწავლონ.

საქართველოში მოქმედი კერძო სკოლებიდან „მწიგნობართუხუცესი“ ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა სამინისტროს ინიციატივას და ახალი სასწავლო წლიდან, ადელინა ჭანტურიასთან ერთად, თბილისის სხვადასხვა საჯარო სკოლიდან კიდევ ხუთ წარმატებულ მოსწავლეს უფასოდ ასწავლის.

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.